სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 ივნისი 2005 №132 (2455) ფასი 50 თეთრი



ახალკაცს კაბინეტში პოლიცია შეიყვანს

ინტერვიუ ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტთან



მაკლიში სიტყვის კაცია?

სანდრო იამვილი რეინჯერსს მიუახლოვდა



უკან მიდევნებული ლამპარი

ვიზები მოგვცეს, მაგრამ ვაი, ასეთ მოცემას

ბორდონ ჰერბერტი: მე ამისგან გავაკეთებ...

ალბერტ იასარევიჩი ბოლოს

...კიტ შილდსის დიდი გამოცდილება საქართველოს ნაკრებს განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანს. მე და შილდსს გვინდა დაგეხმაროთ, რათა უდიდესი პოტენციალი რეალურ შედეგად აქციოთ. საქართველოს ნაკრებმა უნდა ითამაშოს სწორი, ახლებური კალათბურთი და თქვენ უნდა გეამაყებოდეთ, რომ ძლიერი ეროვნული გუნდი გყავთ...

...მოთამაშეებმა უნდა გაითავისონ, რომ ისინი არა ჩემს ან ფედერაციის მიმართ არიან ანგარიშვალდებულნი, არამედ სამშობლოს მიმართ. პატრიოტიზმი დაგვეხმარება ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაში, ოღონდ ეს გრძნობა უნდა იყოს ნაღდი და გულწრფელი...

ხვალ კალაძე აბრამოვიჩს შეხვდება

კახა კალაძე თბილისშია და ხვალ მოსკოვში ინგლისური „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩთან შესახვედრად მიემგზავრება.

იტალიური „მილანის“ ჩვენიანი მცველი შინ გუშინ რუსეთის ვიზის მისაღებად ჩამოვიდა.

რატომ გაჭიანურდა კალაძის თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი „მილანიდან“ „ჩელსიში“? რატომ ვერ თმობს ქართველ მცველს „მილანი“ და რამდენს ითხოვს მის სანაცვლოდ? რას აპირებს ტრანსფერის ჩაშლის შემთხვევაში საქართველოს ნაკრების კაპიტანი? აი, კითხვები, რომლებზეც გუშინ კახამ გვიპასუხა...

— მოსკოვში აბრამოვიჩთან შესახვედრად მივფრინავ. საბოლოოდ უნდა გავარკვიო, სურს თუ არა „ჩელსის“ ჩემი შეძენა. ტრანსფერი თითქოს გადაწყვეტილი იყო, თუმც რატომღაც აქამდე ველი ინგლისელებთან კონტრაქტის გაფორმებას.

— აბა, კალაძე „ჩელსის“ პირად კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდაო?!

— მთლად ასე არაა, ჩელსელებიდან პირადად არავის შევხვედრივარ. ტელეფონით კი ვისაუბრეთ, მაგრამ პირისპირ შეხვედრა სხვაა...

— ისიც ითქვა, „მილანი“ „ჩელსის“ სატრანსფერო თანხაზე ვერ შეუთანხმდაო.

— შესაძლოა, ასეც იყოს.

— რამდენს ითხოვს „მილანი“?

— 15 მილიონ ევროს. „ჩელსის“ ამ თანხის გადახდის პრობლემა არ აქვს, მაგრამ „მილანს“ არ სურს, რომ გუნდი დავტოვო.

— რატომ?

— გუნდში ყველაზე ახალგაზრდა მცველი ვარ და იმიტომ. მალდინი, პანკარო, კაფუ, სტამი, კოსტაკურტა — ყველა კარიერის დასრულების პირასაა. თანაც, „მილანში“ ერთი სეზონიც სათამაშო მაქვს და კონტრაქტის გაგრძელებასაც მთავაზობენ. მაგრამ ძირითადში თუ არ მათამაშეს...

— ანუ, როდის გაირკვევა, „მილანს“ დატოვებ თუ არა?

— ვერ გეტყვით, ახლა ვისვენებ...

ქობა ინასარიძე



ბუბა დოლიძეს/ბეილის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** გუშინ პირველი სამუშაო დღე ჰქონდა. პრეზიდენტი ახალ სამსახურში საქაღალდეებით დატვირთული მივიდა და საქმეს შეუდგა. ჯერ ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას შეხვდა და საკმაო ხანს ესაუბრა, მერე რევაზ და შოთა არველაძეებს, გრიგოლ ცაავას, ბუღალტერიაშიც ჩაიხედა, გადაუდებელი საქმეები გაარკვია, ერთი-ორი დავალებაც მოასწრო და მოუცლელობის მიუხედავად მცირე ინტერვიუზეც დაგვთანხმდა...

ახალკაცს კაბინეტში პოლიცია შეიყვანს

— რატომ არ ვსაუბრობთ პრეზიდენტის კაბინეტში?

— სიამოვნებით, მაგრამ კაბინეტი დალუქულია. კაბინეტი ფინანსურმა პოლიციამ დალუქა და ლუქიც მათ უნდა ახსნან. ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს. ვალერი ჩოლარია ფინანსურ პოლიციას უკვე დაუკავშირდა და მალე, ალბათ, ფედერაციის პრეზიდენტის ოთახის კარი გაიღება. მერე კი გიმასპინძლები კაბინეტში, მაგრამ ბევრ ლაპარაკს, ბევრი საქმის კეთება მიჯობს.

— კეთილი. დღეს თქვენი პირველი სამუშაო დღეა ფედერაციაში და მესმის, ძალიან დაკავებული ბრძანდებით. ახლა, ამ კონკრეტულ მომენტში რა საქმეს აკეთებთ?

— ყრილობის მოსამზადებელ პერიოდში ძალიან ბევრი საბუთი დაგროვდა და მათ ვაწესრიგებ. ზოგი საბუთი გასაგზავნია, ზოგიც მისაღები გვაქვს. ჯერჯერობით სტრატეგიულ საკითხებს არ შევხებივარ.

— თანამშრომლებს შეხვდით, გაიცანით ისინი?

— უმეტესობას ვიცნობდი, ადრე ხომ თავადაც ვმუშაობდი ფეხბურთის ფედერაციაში. უახლოეს დღეებში კი მსურს, ყველას ერთად შევხვდე და უცნობები გავიცნო, ჩვენ ხომ წინ ბევრი საერთო საქმე გვაქვს.

— პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სახელმწიფო მოხელეებს არ შეხვედრიხართ?

— არა, არავის შევხვედრივარ. აქ, როგორც გითხარით, ძალიან ბევრი საქმეა. მაგრამ მალე, ალბათ, ეს შეხვედრაც შედგება, საკითხებს მოვამზადებთ და ვისაუბრებთ.

— ყრილობას ფიფა-უეფას წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. უკვე პრეზიდენტის რანგში ისინი თუ ნახეთ?

— სხვათა შორის, პირველი შეხვედრა სწორედ მათთან მქონდა. რა თქმა უნდა, ფეხბურთზე, მომავალ ურთიერთთანამშრომლობაზე ვისაუბრეთ. ჟერარ შამპანი და ჯოზეფ მიფსუდი თბილისიდან შაბათსვე გაემგზავრნენ. ევა პასკიე კი ერთი დღით შეყოვნდა. ფეხბურთის ფედერაციის ახალ ხელმძღვანელებს ფიფა-უეფა ალბათ მალე მიგვიწვევენ და ერთმანეთს უფრო კარგად გავიცნობთ, ეს მიღებული ფორმაა. პრეზიდენტის რანგში ჩემი პირველი ვიზიტიც, ვფიქრობ, ფიფა-უეფაში იქნება, სავარაუდოდ, ივლისში.

— ფედერაციის საკადრო ცვლილებებზე როდის გკითხოთ?

— ცოტაც მოვითმინოთ.

— ჩემპიონატის სტრუქტურაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვით. უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნება? როდის დაიწყება ჩემპიონატი?

— ჯერჯერობით ამ საკითხის შესწავლის პროცესში ვართ. რამდენიმე დღეში კი ზუსტად გიპასუხებთ, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლესში და როდის დაიწყება ჩემპიონატი. ყოველ შემთხვევაში, გუნდებისთვის ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს და შეუძლიათ, ძველებური გრაფიკით მოემზადონ.

კოტა ინასარიძე

ვიცე-ამბები ვიცეებზე

მაშ ასე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გახდა და მალე ფედერაციაში საკადრო ცვლილებებიც მოხდება.

სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ თითქმის გადაწყვეტილია ვიცე-პრეზიდენტების საკითხი. ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე იქნება, ვინც პრეზიდენტობის კანდიდატიც იყო, მაგრამ კანდიდატურა ახალკაცის სასარგებლოდ მოხსნა. შეგახსენებთ, არველაძე ფედერაციაში მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისასაც იყო ამ პოსტზე.

მეორე ვიცე-პრეზიდენტი კი [illegible] საქართველოსთვის ჯერაც უცნობი პიროვნება გახდება — გოგი ქავთარაძე. ის ადრე თავისუფლების ინსტიტუტის წევრი იყო და ფეხბურთის ფედერაციაში, ასე ვოქვათ, ხელისუფლების ერთ-ერთი კადრი იქნება — ასეთია კულუარული ინფორმაცია.

რაც შეეხება გენერალური მდივნის პოსტს, ეს საკითხი ჯერ ისე არ მომწიფებულა, რომ კულუარებში გადაჭრით რომელიმეზე გაკეთდეს აქცენტი.

ნიკა ჯორჯაძე

მაკლიში სიტყვის კაცია?

შოთა არველაძე: დიდი შანსია, იაშვილი რეინჯერსში გადავიდეს

ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქმეს ისეთი პირი უჩანს, 20 წლის სანდრო იაშვილი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან ევროპის ერთ-ერთ ქარიზმატულ გუნდში ჩაირიცხება.

იანვრის ბოლოს შოთა არველაძის რეკომენდაციით იაშვილი „გლაზგო რეინჯერსმა" მიიწვია ორკვირიან გასინჯვაზე. გლაზგოელთა თავკაცი ალექს მაკლიში ახალგაზრდა ქართველი ფორვარდით დაინტერესდა და იაშვილს თბილისში დაბრუნების წინ უთხრა, ინგლისური ისწავლე და ეცადე, ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშო. მას შემდეგ იაშვილმა სამჯერ ითამაშა ახალგაზრდულ ნაკრებში, გოლი არ გაუტანია, თუმც ლიტვასთან და საბერძნეთთან ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

სეზონის დამთავრების შემდეგ არველაძეს „რეინჯერსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ჰოლანდიურ „ალკმაარში" გადავიდა, თუმცა გლაზგოელებთან იაშვილის თაობაზე კონტაქტი არ გაუწყვეტია და „რეინჯერსის" მესვეურთ ტელეფონით უკავშირდებოდა.

— მას შემდეგ, რაც იაშვილი „რეინჯერსში" იყო გასინჯვაზე, ამ საქმეს სერიოზული გაგრძელება მოჰყვა და დიდი შანსია, რომ სანდრო რეინჯერსელი გახდეს — გვითხრა გუშინ შოთამ.

ისიც შევიტყვეთ, რომ არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის აგენტი ივან ბენეში უკვე საბუთებს ამზადებს იაშვილისთვის „რეინჯერსში" გადასასვლელად, რაც კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს იმას, რომ ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი რეინჯერსელობასთან ძალიან ახლოს არის.

გასულ სეზონში იაშვილი „დინამოდან" „თბილისში" იყო განათხოვრებული და ის ახლაც „დინამოს" საკუთრებაა.

შეგახსენებთ, შარშან ძმებმა არველაძეებმა საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდი დააფუძნეს, რომლის წევრები ძმები ეკონომ და რონალდ დე ბურებიც არიან. ფონდი არაკომერციულია და თუ იაშვილი რეინჯერსელი გახდება, ეს ამ ფონდის პირველი და უდავოდ წარმატებული პროექტი იქნება.

დავით თავართქილაძე

დინამო დინამო დაიბრუნა

ბუბა დოლიძეს/ბეილის ფოტო

ლევან ყობაია

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო", რომელიც ახალი სეზონისთვის მზადებას უკვე შეუდგა, ორჯერად ვარჯიშზე გადავიდა. გუნდი დილით ხან იპოდრომზე, ხანაც კუს ტბაზე და თბილისის ზღვაზე დარბის, საღამოს კი დიღმის ბაზაზე იკრიბება.

გუშინწინ გუნდს შეუერთდა მწვრთნელი კახა ცხადაძე, ვინც ორი დღე შეუძლოდ იყო. საქმე ისაა, რომ ცხადაძემ ვეტერანებთან ერთად ითამაშა და ამ მაგნისას დაშავდა — მეკარის მოქნეული ხელი ყვრიმალში მოხვდა.

„დინამოში" დღესდღეობით შვიდი ახალი ფეხბურთელია: ადრეც გაცნობეთ, რომ ტორპედოელები გია ნერგაძე და გია მეგრელაძე, „ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუა და ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე ჩემპიონებთან ერთად ვარჯიშობენ. დღეს ამათ თბილისელი სანდრო იაშვილი, ფოთის „კოლხეთის" მცველი ლევან აკობია და ასევე „ლოკომოტივის" მცველი დავით გიგაური დაემატათ. ისე კი, იაშვილი, ბობოხიძე და გიგაური ისედაც „დინამოს" ფეხბურთელები არიან, ისინი განათხოვრებულნი იყვნენ.

გუნდთან ერთად აღარ არიან ლევან სილაგაძე, ჯაბა დვალი, გიორგი მიქაძე, ლაშა ჭელიძე, გოჩა ჯამარაული და ბრაზილიელები — კუნეგატო და რომერო.

უფრო დაწვრილებით „დინამოს" სეზონისწინა მიდიმოდიზე 17 ივნისის პრესკონფერენციაზე კლუბის ხელმძღვანელები იტყვიან.

კოტა ინასარიძე

ნაცია და ნომინაცია

პროფლიგა და სარბიელი წარმოგიდგენთ



გაფრი ჯუღელავის ფოტო

ხვალ გასართობ ცენტრ „ბერიკონში“ ქართული ფეხბურთის ზეიმი იქნება. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მე-16 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს დააჯილდოებს, იქვე შეჯამდება „სარბიელის“ ტრადიციული, ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები და გამოვლინდებიან საქართველოს საუკეთესო და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები.

ამ ამბავზე უფრო დაწვრილებით პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, სცენარის ავტორი ნიკოლოზ შენგელაია და ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დღევანდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრებენ, თუმცა სადღეისოდ არც პროფლიგის გენმდივან რევაზ ლორთქიფანიძის ნათქვამი უნდა იყოს უინტერესო...



„სარბიელის“ ტრადიციული პრიზები

— ახალს არაფერს ვიგონებთ, ამპლუების მიხედვით ფეხბურთელებს, მსაჯებსა და მწვრთნელებს ყველა ქვეყანაში აფასებენ და გამონაკლისი საქართველო რატომ უნდა იყოს?! ჩვენ გვსურს, პატივისცემა გამოვხატოთ იმ ხალხის მიმართ, ვის მხრებზეც გადაიარა ეროვნულმა ჩემპიონატმა. ეს ჩვენი ჩემპიონატის პოპულარიზაციის ხელშეწყობა იქნება.

— ასეთი ცერემონიალის გამართვის იდეა როდის მოგივიდათ?

— ეს სეზონის დაწყებამდე ჩავიფიქრეთ, რამდენიმე თვე ვმუშაობდით, რა ფორმით დაგვეფასებინა ჩვენი საუკეთესონი და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ საზეიმო ცერემონიალი მოგვეწყო.

— რამდენი ნომინაცია იქნება?

— პროფლიგა საუკეთესოებს რვა ნომინაციაში დააჯილდოებს. გვსურდა, პროფლიგის ნომინანტებს შორის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ასეთი ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას ტრადიციულად „სარბიელი“ ატარებს, ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესოს სწორედ თქვენი გაზეთი დაასახელებს. როგორც ცნობილია, „სარბიელის“ გამოკითხვითვე გაირკვევა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობაც. მოკლედ, ეს ორი ნომინაცია „სარბიელისაა“ და საუკეთესო ფეხბურთელებსაც „სარბიელი“ დააჯილდოებს. ჩვენ კი საუკეთესო მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს, მწვრთნელს, მსაჯს, სეზონის აღმოჩენასა და პროექტს გადავცემთ ჩვენს პრიზებს.

— საუკეთესონი რა პრინციპით გამოვლინდებიან?

— პროფლიგის ანკეტები 50-ზე მეტ ჟურნალისტს დაურიგდა და სწორედ მათი გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდებიან საუკეთესონი. ნომინაციებში საუკეთესოთა სახელები კონვერტში მოთავსდება, რომელიც „ბერიკონში“ გაიხსნება და ლაურეატიც იქვე გამოცხადდება, პრიზები ეროვნულ ზარაფხანაში დავამზადებინეთ, სადგამზე შედალიონია პროფლიგის ემბლემის გამოსახულებით. მასზე მითითებული იქნება გამოკითხვის ჩატარების წელი და ნომინაცია. პროფლიგა ასევე დააჯილდოებს ინტერნეტ-თამაშში „ჩემი ფეხბურთი“ გამარჯვებულებსაც, რომლებიც თანხას „საქართველოს ბანკის“ პლასტიკური ბარათებით მიიღებენ.

— საღამოს სტუმრებზეც ვთქვათ...

— „ბერიკონი“ სავსე იქნება. მოწვეულნი არიან უმაღლესი ლიგის გუნდები, ფეხბურთის ფედერაცია, სპონსორები, პარლამენტარები და მთავრობის წევრები, ბევრი ცნობილი სახე. გვსურს, ჩემპიონატის საუკეთესოთა დაჯილდოების ცერემონიალი ტრადიციული და მომავალში კიდევ უფრო გრანდიოზული გავხადოთ.

ძოგა ინასარიძე

პროფლიგის პრიზი

სტურუას გოლები გულს არ უტეხს



ვარაზ დოლენგაშვილის ფოტო

ზვიად სტურუას თბილისის „დინამოში“ გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა. ეროვნული ნაკრების მეკარე კახა ცხადაძის გუნდში ვარჯიშობს და, როგორც თავად ამბობს, ამ დღეებში „დინამოსთან“ კონტრაქტის გაფორმებას წინ ვერაფერი დაუდგება.

სტურუას 4 ივნისს ჰქონდა დებიუტი ნაკრებში და მიუხედავად იმისა, რომ სამი გოლი გაუშვა, ჟირესის გუნდში უსუსტესი წერტილი ნაღდად არ ყოფილა.

— პირველი თამაში იყო და, ცხადია, ძალიან მონდომებული ვიყავი. დამწუხრებული ვარ წაგებით. მეორე გოლისას შემეძლო გუნდის გადარჩენა, პირველი კი იგლი ტარემ აშკარა თამაშგარედან გაიტანა. არაფრის გაკეთება არ შემეძლო, პირისპირ დარჩა ჩემთან. მესამე ბურთიც ახლოდან იყო დარტყმული თავით. ამ დროს რეაგირება ძალიან ძნელია.

...ალენ ჟირესს ნამატჩევს არაფერი უთქვამს ჩემთვის. ყველანი გულდაწყვეტილები ვიყავით და გამხნევების თავი არავის გვქონდა. ჯერ ყველაფერი წინაა, რა დროს გულის გატეხვაა — იმედიანადაა ზვიად სტურუა.

ილია ნანოგაშვილი

თვალ-თვალი

„გაილიმე, ჩიტი გამოფრინდება“ — „სარბიელის“ ფოტორეპორტიორ გურამ დოლენგაშვილს ლოკომოტიველ ნუკრი მანჩხავასთვის ასე ნაღდად არ შეუძახებია, მაგრამ... გამოფრინდა ჩიტი და ეგ არის.

ესაც თქვენ ფოკუსი...

საქართველოს ნაკრები და 90-იანი წლები

კვიპროსზე ეს ახლა იწყება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოდინდელი ლიდერები კვიპროსულ „ანართოსისში“!

დიახ, საქმე მართლაც ასეა. გასულ სეზონში „ანართოსისი“ კვიპროსის ჩემპიონი გახდა — გიორგი გაბიდაურის, კლიმენტი წიტაიშვილის და გოჩა ხოჯავას გარდა ამაში ჩვენს სახელიან ფეხბურთელებსაც მაუძღვით წვლილი — გიორგი ქინქლაძესა და გუნდის მოთამაშემწვრთნელ თემურ ქეცბაიას.

სეზონის დამთავრების შემდეგ „ანართოსისიდან“ გიორგი გაბიდაური და გოჩა ხოჯავა წავიდნენ, სამაგიეროდ, იქ გოჩა ჯამარაული მივა, ვისაც 23 ივნისს 34 წელი შეუსრულდება. შეგახსენებთ, მან გასული სეზონის მეორე ეტაპი თბილისის „დინამოში“ ითამაშა.

— ჯამარაული ოთხშაბათს ჩამოვა ჩვენთან და ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს — გვითხრა გუშინ ქეცბაიამ.

დავით თავართქილაძე

ლოკომოტივში ახალი ჯერ საჯაია

ედიკ საჯაია

ფოტო: ეროვნული ფეხბურთელთა ლიგა

თბილისის „ლოკომოტივი“ ლიკანში გაემგზავრა შეკრებაზე და გუნდს მიჰყვება საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ედიკ საჯაიაც. 25 წლის ფეხბურთელი შარშან რუსული ტულის „არსენალში“ იყო, ბოლო სეზონი კი უქმად გაატარა. „ლოკომოტივმაც“ საჯაია უპრობლემოდ ჩაიგდო ხელში.

საქართველოს თასის მფლობელებს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი შეემატათ, თუმც ისინი „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობიდან არიან. გუნდის თავკაცმა ნოდარ აკობიამ გვითხრა, „თბილისიდანაც“ გვინდა ერთი მოთამაშის დამატებაო, მაგრამ გვარი არ გაგვიმხილა. ჩვენი ინფორმაციით, ლაპარაკია გოგი ფიფიაზე, რომელიც „ლოკომოტივიდან“ წასული მიხეილ ბობოხიძის ადგილს შეავსებს.

ბობოხიძე, დავით გიგაური და ზვიად სტურუა „დინამოში“ გადავიდნენ და ბარემ, აქვე სხვა წასულებზეც: ნუკრი მანჩხავა ლიტვის ჩემპიონ „კაუნასში“ ჩაირიცხა, გიორგი ონიანმა კი რუსეთის პირველი ლიგის ერთ-ერთ გუნდს მიაშურა.

ილია ნანოგაფშვილი

ქუცურუაც სიონში

ბოლნისი ჰატარა დინამოელებს მიადგა

ბოლნისის „სიონმა“ ჯაბა დვალის შემდეგ კიდევ ერთი დინამოელი გადაიყვანა — გიორგი ქუცურუა ექვსი თვით ინათხოვრა.

19 წლის ნახევარმცველი განვლილ სეზონში მეტწილად „დინამო 2“-ში თამაშობდა, თუმც პირველ ეტაპზე გია გეგუჩაძის ხელში მთავარ „დინამოშიც“ ჩნდებოდა და ერთი გოლის გატანაც მოასწრო.

როგორც იცით, „სიონის“ ახალი მწვრთნელიც ექსდინამოელი ხვიჩა ქასრაშვილია, რომელიც ქუცურუას მშვენივრად იცნობს. ქასრაშვილმა გვითხრა, კიდევ ვაპირებთ გაძლიერებას და კარგი იქნება, თუ ისევ „დინამოს“ ან „დინამო 2“-ის მოთამაშეებს დავიმატებთ: „ჯერ-ჯერობით მწვრთნელს სურს, თავისი გემოვნებით მიიყვანოს გუნდში ფეხბურთელები, ანუ ვისაც კარგად იცნობს, მასთან მუშაობა უფრო გაუადვილდება“.

ილია ნანოგაფშვილი

დემეტრაძე ბრინჯაოს ხანაში, ასათიანი ოქროს ქალაქში

შეთხელებულ ქართულ ლეგიონს ერთ კვირაში „უკრაინელი“ ქაროველებიც შოაკლდებიან. იქაური ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთადერთი ტური დარჩა და ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველებს ბოლო წლებში უკრაინაში ასე სუსტად არ უთამაშიათ.

ერთადერთი გიორგი დემეტრაძის „მეტალურგის“ ბრინჯაო თუა აღსანიშნი, მეტი არც არაფერი...

სხვამხრივ კი, ლეგიონში ყველაზე დიდ ინტერესს რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე ქართველები იმსახურებენ. მათგან, რა თქმა უნდა, ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი გამოირჩევა — რკინიგზელებმა მძიმე ბრძოლაში 2:0 დაამარცხეს იაროსლავლის „შინიკი“ და ჩვენებური ისევ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, რაც ამ სეზონში ისე ხშირად ხდება, რომ, მგონი, თვლაც კი აგვერია. ასათიანმა სრულად ითამაშა და ორჯერ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, ტრავმამოშუშებული მიხეილ აშვეთია კი სათადარიგოობას დასჯერდა.

სხვათა შორის, „ლოკომოტივი“ შარშან სწორედ იაროსლავლში მოგებით გახდა ჩემპიონი პრემიერლიგის ბოლო ტურში.

ძახა შალამბერიძე

მალხაზ ასათიანის (მარცხნივ) „ლოკომოტივი“ პრემიერლიგას ლიდერობს

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	შინიკი 2:0	90		9	0	1
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	შინიკი 2:0	0		2	0	1
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	შინიკი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	ს	შინიკი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	შინიკი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	დინამო 0:1	63	შეცვალეს	8	0	14
ლევან გვაზავა	ალანია	ს	დინამო 0:1	0		4	0	14
ლადო ბურდული	ალანია	ს	დინამო 0:1	53	შეცვალეს	6	0	14
დავით კვირკველია	ალანია	ს	დინამო 0:1	90		9	0	14
ჯაბა კანკავა	ალანია	ს	დინამო 0:1	0		5	0	14
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	ს	დინამო 0:1	0		3	0	14
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	რუბინი 1:0	90		7	0	5
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	შ	ჩკალოვეცი 4:0	90		4	0	6
გოგიტა გოგუა	ხიმკი	შ	ჩკალოვეცი 4:0	0		5	0	6
რევაზ გოცირიძე	კამაზი	შ	მ. კუზბასი 4:2	0		10	0	2
კახა მჟავანაძე	ანჟი	შ	ფაკელი 1:0	60	შეცვალეს	11	0	5
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	ხიმკი 0:4	0		5	0	19
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	კამაზი 2:4	90	საგოლე პასი	14	0	21
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	ს	პეტროტრესტი 0:1	90		15	2	17
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	შ	დინამო 0:1	0	ტრავმირებულია	7	0	14
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	მეტალისტი 3:1	0	ტრავმირებულია	25	5	3
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	მ. დონეცკი 1:3	0		21	3	9
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	მ. ზაპოროჟიე 2:1	0		26	9	8
ალეკო ამისულაშვილი	დნიპრო	შ	კრივბასი 2:1	0		0	0	4
გრიგოლ ჭანტურია	ზაკარპატიე	ს	დინამო 0:3	90		1	0	14
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ტავრია 1:2	45	შეცვლაზე ითამაშა	8	3	11
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	შ	ოლიმპი 0:2	26	შეცვლაზე ითამაშა	11	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	ოლიმპი 0:2	90		10	0	2
ზაალ ელიავა	სკონტო	შ	ოლიმპი 0:2	90		11	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	შ	ოლიმპი 0:2	55	შეცვალეს	8	0	2
ყაზახეთი. სუპერლიგა								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	ს	თარაზი 1:0	67	შეცვალეს	10	0	13
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	ს	ოკჟეტპესი 0:1	90		9	0	12

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ოუენი დაიძრა

ს

რაც კარგია კარგია?

ცუდია, როდესაც ვან ნისტელროისა და რუნის ფლანგავენ...

წარსულში ცნობილი „ევერტონის“ ფეხბურთელი ენდი გრეი დღეს სახელმოხვეჭილი საფეხბურთო მიმომხილველია. იგი მოღვაწეობს როგორც კალმიან, ასევე სატელევიზიო ჟურნალისტიკაში და ორივეგან მის სიტყვას დიდი ფასი აქვს. ამიტომაც, გთავაზობთ ქვემოთ მის წერილს პრემიერლიგაში ბოლოხანს მოძლიერებული და დამკვიდრებული 4-5-1 ტაქტიკური სქემის შესახებ. ვფიქრობთ, ასეთი ავტორების ასეთი წერილები ფიქრს იწვევს...

ენდი გრეი

„უნდა ვაღიარო, რომ ბოლოხანს მოდაში შემოსული განლაგება 4-5-1 მაღიზიანებს და ჩემგან სასიცოცხლო ენერგიას წოვს. მეორე მხრივ, ვიმედოვნებ, რომ ივიც ისევე მალე და უკვალოდ გაქრება, როგორაც გაქრა ბოლო წლებში ვითომ დამკვიდრებული რამდენიმე „სიახლე“, თორემ ამ სეზონში გამართული „ბლექბერნი“ — „ლესტერისა“ და „ასტონ ვილა“ — „მიდლსბროს“ მაგვარ თამაშებს მეტად ველარ ავიტან.

ბოლო თვეებში ბევრი საძაგელი თამაში ვნახეთ, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ გუნდები

ენდი გრეის თქმით, 4-5-1 ტაქტიკა არიენ რობენის გუნდისთვის ზედგამოჭრილია

სულ მეტად და მეტად იყენებენ მოწინააღმდეგისთვის გოლის გატანაში ხელის შეშლაზე აწყობილ ტაქტიკას. ამ ტაქტიკის იდეა მეტოქისთვის ცხოვრების გართულებაა, მაგრამ იმავდროულად ის მაყურებელსაც ურთულებს ცხოვრებას, რადგან მასში თვალსაჩინო არაფერია.

საკამათო არაა, ფეხბურთში ყველაფერზე მნიშვნელოვანი გამარჯვება გახლავთ, მაგრამ ვგონებ სპორტის ეს სახეობა ხალხის გართობაზეც უნდა იყოს გარკვეულწილად პასუხისმგებელი. ვფიქრობ, „ფულემის“ ქომაგებმა დიდებული საქმე ჩაიდინეს, როდესაც ერთხმად მოითხოვეს 4-4-2 განლაგებაზე დაბრუნება, თუმცა დარწმუნებული არ გახლავართ, რომ ვინმე მათ მოთხოვნას ყურად იღებს.

მთავარი პრობლემა კი ის გახლავთ, რომ ჩვენი ფეხბურთის ოთხი ლიდერიდან 4-5-1 განლაგებას მხოლოდ სამი იყენებს ეფექტურად — ეს განლაგება კარგი მაშინაა, როდესაც გუნდში არიენ რობენი ან რაიან გიგზი გყავს — ხოლო „ბლექბერნისა“ და „ასტონ ვილას“ შესრულებით სანახავი ნამდვილად არაფერია. მოკლედ, იმისთვის, რომ 4-5-1 განლაგება გამოვადგეს, სპეციფიკური თვისებებით დაჯილდოვებული ფეხბურთელები გჭირდება, ხუთი მუშა ნახევარმცველის შემთხვევაში კი მას აზრი ეკარგება.

არადა, მწვრთნელები მოწინავე გუნდებს უყურებენ და ცდილობენ მათი დამუშავებული ტაქტიკური ვარიანტები გადაიღონ, რაც მე ძალიან არ მომწონს. მე მინდა მოედანზე თავდამსხმელები ვიხილო. მეტსაც გეტყვით, მე მირჩევნია უეინ რუნი და რუუდ ვან ნისტელროი ერთად იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, რადგან როდესაც ერთი მათგანი არ არის, მგონია, რომ რაღაც იფლანგება.

ერთ სიტყვით, ხალხი ხედავს, როგორ მოქმედებს ეს ტაქტიკა „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესრულებით, მაგრამ იმავდროულად ხალხმა ნახა თუ როგორ გამოადგა ის საბერძნეთის ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე. თუმცა ხალხმა ისიც უნდა გაიხსენოს, რომ საბერძნეთმა სამი თამაში 1:0 მოიგო, რაც ფეხბურთის სანახაობრივ მხარეს ნამდვილად ვერაფრით წაადგა და კარგსაც არაფერს უქადის. თქმა არ უნდა, ანგარიში, რომელსაც ეს ტაქტიკა გვთავაზობს, ნეიტრალური მაყურებლისთვის უინტერესოა.

აგრეთვე ძალიან ცუდია, როდესაც გუნდი მთლიანად შენი შეფერხებით არის დაკავებული.

ჩემმა ყოფილმა კლუბმა „ევერტონმა“ კი 4-5-1 კარგად გამოიყენა და ისეთი სეზონი ჩაატარა, როგორზეც ვერც იოცნებებდა... მაგრამ ბოლო 10 თამაშში მოპოვებულმა მხოლოდ თერთმეტმა ქულამ დაადასტურა, რომ ამ ტაქტიკას მისთვისაც აქვს შესაძლებლობათა ზღვარი“.

ენდი გრეი

ბრაზილია

სერია A. VII ტური

ატლ. პარანენსე — ფიგეირენსე 0:0; კრუზეირო — პონტე პრეტა 1:2; პარანა — ფორტალეზა 3:0; სან კაეტანო — ბრაზილიენსე 2:0; ბოტაფოგო — ფლუმინენსე 3:2; გოიასი — პალმეირასი 2:1; კორინთიანსი — ფლამენგო 4:2; ინტერნასიონალი — ატლ. მინეირო 1:1; სანტოსი — ფლუმინენსე 1:1; პაისანდუ — სან პაულუ 2:2; ვასკუ და გამა — კურიტიბა 2:2

რეკლამა
სარგიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

პოლონეთი

I ლიგა. XXVI ტური

ამიკა — კრაკოვია 3:2; კატოვიცე — გურნიკი 1:0; ლეჩნა — ზაგლებე 2:1; პოგონი — ოდრა 4:1; პოლონია — ლეხი 0:2; ვისლა — გროცლინი 3:0; პლოცკი — ლეგია 0:0

ვისლა	26	19	5	2	70:23	62
გროცლინი	26	16	3	7	46:28	51
ლეგია	26	13	8	5	42:19	47
პლოცკი	26	12	5	9	35:30	41
კრაკოვია	26	12	4	10	37:29	40
ამიკა	26	10	8	8	29:28	38
ლეჩნა	26	10	6	10	36:36	36
ლეხი	26	10	4	12	34:40	34
პოგონი	26	7	10	9	34:43	31
პოლონია	26	8	5	13	27:52	29
გურნიკი	26	7	7	12	27:30	28
ზაგლებე	26	6	10	10	31:41	28
ოდრა	26	6	4	16	25:42	22
კატოვიცე	26	4	5	17	24:56	17

დანია

სუპერლიგა. XXXI ტური

ბრონდბიუ — ჰერფიოლგე 7:0; ოდენსე — ოლბორგი 1:2; რანდერსი — მიდტიულანდი 0:3; სილკებორგი — ორჰუსი 1:1; ვიბორგი — ნორდსიელანდი 1:2; კოპენჰაგენი — ესბიერგი 1:0

ბრონდბიუ	31	18	9	4	57:22	63
კოპენჰაგენი	31	16	7	8	51:37	55
მიდტიულანდი	31	16	5	10	45:39	53
ოლბორგი	31	15	7	9	57:40	52
ვიბორგი	31	13	8	10	39:40	47
ესბიერგი	31	13	7	11	58:45	46
ოდენსე	31	11	9	11	56:40	42
სილკებორგი	31	11	8	12	44:48	41
ორჰუსი	31	11	6	14	46:48	39
ნორდსიელანდი	31	8	6	17	34:54	30
ჰერფიოლგე	31	6	6	19	26:67	24
რანდერსი	31	5	8	18	28:61	23

I დივიზიონი. XXIX ტური

დალუმი — ნიკიობინგი 4:1; ფრედერისია — იოლსტიკე 1:2; ფრემი — ბ-93 კოპენჰაგენი 1:1; ფრემადი — ბრიონსჰიოი 3:1; ჰელერუპი — კიოგე 2:2; ნესტვედი — სიონდერიულანდი 0:2; სკიოლდი — ჰორსენსი 0:2; ვაილე — აკადემისკი 4:3

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XXIX ტური

მეტალურგი (ზ) — ტავრია 1:2; ვორსკლა — ობოლონი 2:1; ბორისფენი — არსენალი 0:1; ილიჩევეცი — ვოლინი 1:0; ჩერნომორეცი — შახტარი 1:3; მეტალურგი (დ) — მეტალისტი 3:1; დნიპრო — კრივბასი 2:1; დინამო — ზაკარპატია 3:0

შახტარი	29	25	2	2	60:17	77
დინამო	29	23	4	2	56:11	73
მეტალურგი (დ)	29	14	5	10	36:34	47
დნიპრო	29	12	9	8	36:34	45
ილიჩევეცი	29	12	8	9	38:33	44
ჩერნომორეცი	29	12	5	12	28:29	41
ვოლინი	29	11	7	11	34:33	40
ტავრია	29	10	9	10	30:27	39
არსენალი	29	8	10	11	28:33	34
მეტალურგი (ზ)	29	7	11	11	23:31	32
მეტალისტი	29	8	8	13	25:36	32
კრივბასი	29	8	8	13	24:37	32
ვორსკლა	29	8	7	14	19:33	31
ზაკარპატია	29	6	10	13	20:29	28
ბორისფენი	29	3	11	15	14:29	20
ობოლონი	29	4	8	17	17:42	20

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VIII ტური

ტურკუ — მიუპა 0:2; ალიანსი — ტპ-47 1:0; ჰაკა — ლაჰტი 0:0; მარიეჰამნი — იარო 3:1; ინტერი — კტპ 2:0; კუოპიო — ტამპერე 0:2; როვანიემი — ჰიკ 0:2

ტამპერე	8	5	2	1	10:4	17
ჰიკ	8	4	4	0	12:5	16
მიუპა	8	4	3	1	12:4	15
მარიეჰამნი	8	4	3	1	10:7	15
ინტერი	9	3	5	1	10:3	14
ჰაკა	8	3	5	0	7:4	14
ალიანსი	8	2	5	1	9:7	11
კტპ	8	3	2	3	7:9	11
ლაჰტი	8	2	2	4	12:14	8
ტურკუ	7	2	2	3	5:7	8
კუოპიო	8	2	1	5	7:13	7
ტპ 47	8	1	1	6	3:8	4
როვანიემი	8	0	4	4	4:12	4
იარო	8	0	3	5	3:14	3

ნორვეგია

ტიპალიგა. XI ტური

ფრედრიკსტადი — ბოდიო გლიმტი 3:2; ლილესტრიომი — ალესუნდი 3:0; ოდ გრენლანდი — მიოლდე 2:1; რუსენბორგი — ჰამ კამი 4:0; სტარტი — ტრომსიო 1:1; ლინი — ვოლერენგა 1:1; ვიკინგი — ბრანი 0:0

სტარტი	10	6	3	1	21:11	21
ვოლერენგა	10	6	3	1	15:8	21
ბრანი	10	5	2	3	22:13	17
ლინი	10	4	4	2	15:10	16
რუსენბორგი	10	4	3	3	19:10	15
ვიკინგი	10	4	3	3	13:12	15
ფრედრიკსტადი	10	4	3	3	15:14	15
ლილესტრიომი	10	4	3	3	13:14	15
ტრომსიო	10	2	5	3	10:12	11
ბოდიო გლიმტი	10	2	3	5	12:14	9
ალესუნდი	10	2	3	5	10:17	9
მოლდე	10	2	3	5	12:21	9
ჰამ კამი	10	2	2	6	6:14	8
ოდ გრენლანდი	10	2	2	6	7:20	8

I დივიზიონი. XI ტური

მანდალი — ალტა 3:0; ფოლო — ტონსბერგი 1:1; ჰიოდი — მოსი 1:1; კონგსვინგერი — სტაბეკი 1:1; ლოვ ჰამი — პორს გრენლანდი 0:2; სანდეფიორდი — ბრინი 1:2; სკეიდი — ჰიონეფოსი 3:4; სოგნდალი — სტრიომსგოდსეტი 2:2

შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური

ჰეკენი — ლანდსკრონა 3:0; იორგრიტე — გეფლე 2:0; სუნდსვალი — ჰამარბი 2:1; ელფსბორგი — ჰალმსტადი 1:1; იურგორდენი — გიოტებორგი 0:0; კალმარი — ასირისკა 1:0; ჰელსინგბორგი — მალმიო 0:1

მალმიო	9	6	1	2	11:5	19
იურგორდენი	9	5	2	2	16:11	17
ჰეკენი	9	5	1	3	17:10	16
კალმარი	9	4	3	2	7:5	15
ჰალმსტადი	9	4	2	3	16:11	14
ჰელსინგბორგი	9	4	2	3	14:12	14
გიოტებორგი	9	3	5	1	8:6	14
ჰამარბი	9	3	2	4	11:13	11
ლანდსკრონა	9	3	2	4	13:19	11
სუნდსვალი	9	3	1	5	12:15	10
იორგრიტე	9	3	1	5	12:17	10
ელფსბორგი	9	2	3	4	12:15	9
გეფლე	9	3	0	6	8:14	9
ასირისკა	9	2	1	6	7:11	7

სუპერეტა. X ტური

ფრიოლუნდა — ფალკენბერგი 1:2; ბოდენსი — ნორჩიოპინგი 2:1; ატვიდაბერგი — ტრელებორგი 3:0; ლიუნგსკილე — ბრომაპოიკარნა 0:0; მიალბი — ვასბი 1:3; იორებრო — დეგერფორსი 1:1; ვასტერასი — იოსტერსი 0:2; გაის — აიკ 0:3

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXV ტური

დუბნიცა — სობოტა 3:0; ინტერი — ტრნავა 1:1; პუხოვი — ბანსკა ბისტრიცა 0:0; რუჟომბეროკი — პეტრჟალკა 2:2; ტრენჩინი — ჟილინა 2:1

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. V ტური

ფრამი — აკრანესი 0:0; ჰაფნარფიორდური — თროტური 3:1; ვესტმანაეიარი — რეიკავიკი 2:1; კეფლავიკი — ვალური 1:5; ფილკირი — გრინდავიკი 2:1

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა. XIII ტური

კოლუმბუსი — კოლორადო 1:0; კანზასი — ნიუ ინგლენდი 0:2; ლოს ანჯელესი — სოლტ ლეიკი 1:0; ნიუ იორკი — ვაშინგტონი 0:0; ჩიკაგო — დალასი 2:0; ჩივასი — სან ხოსე 1:1

არგენტინა

კლაუსურა. XVI ტური

როსარიო — არგ. ხუნიორსი 1:1; სან ლორენსო — კილმესი 2:0; ოლიმპო — ოლდ ბოისი 1:0; ლანუსი — ალმაგრო 6:1; ბოკა ხუნიორსი — არსენალი 1:3; ხიმნასია — ესტუდიანტესი 4:1; ურაკანი — ბანფილდი 0:2; ველესი — ინსტიტუტო 2:3; ინდეპენდიენტე — რივერ პლეიტი 1:1; კოლონი — რასინგი 2:2

ამხანაგური მატჩები

ალჟირი 0:3 მალი

პაკისტანი 1:1 ინდოეთი

იტალია

თასის ფინალი. I მატჩი

რომა 0:2 ინტერი

0:1, 0:2 ადრიანო (30, 36)

რომა: კურჩი, პანუჩი, მ. ფერარი, კოვუ, კუფრე (სკურტო 78), ვირგა (მონტელა 58), დაკური, პეროტა, მასსინი (გრეკო 71), ტოტი, ა. კასანო

მწვრთნელი: ბრუნო კონტი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, მიხაილოვიჩი, ფაბალი, ზე მარია, დ. სტანკოვიჩი, კამბიასო, კილი გონსალესი (ვან დერ მეიდე 84), ადრიანო, ო. მარტინსი (ხ. კრუზი 75)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ფერარი, კოვუ, პეროტა

მსაჯი: კოლინა

75 000 მაყურებელი

„სტადიო ოლიმპიკოზე“

შეკრებილმა 75 ათასმა ქომაგმა მშვენივრად მოთამაშე „რომა“ იხილა. დედაქალაქელებმა განსაკუთრებულად კარგად პირველ ტაიმში იბურთავეს და, ბედის ირონიით, სწორედ პირველ ტაიმში გაუშვეს ორი გოლი. ყველაფერი ბრწყინვალედ მოთამაშე ადრიანომ გადაწყვიტა.

მასპინძლებს წინ გასვლა უკვე პირველ წუთზე შეეძლოთ, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე საიმედოდ მოთამაშე ფრანჩესკო ტოლდომ კასანოს არ გაატანინა. ცოტა ხანში მიზანს ადრიანოს თავურმა მიაღწია, მაგრამ კოლინამ ბრაზილიელი მატეო ფერარისთან უხეშობაში დაადანაშაულა და გოლი გააუქმა.

ამის შემდეგ თამაში რომაელთა იერიშებით გაგრძელდა. ტოტი და კასანო მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს და მომენტებსაც ქმნიდნენ.

რომაელებმა „ინტერის“ ბრაზილიელი ადრიანო ვერ გააჩერეს

აქტიური იყო კრისტიან კოვუც. დედაქალაქელებს გოლის გატანა რამდენიმე ეპიზოდში შეეძლოთ, მაგრამ ტოლდო შეუვალი გახლდათ, ხანაც თავად სცოდავდნენ.

30-ე წუთზე კი ადრიანომ ოდნავ წინ გამოსული ჯანლუკა კურჩი შენიშნა და დაახლოებით 40 მეტრიდან შესრულებული ბრწყინვალე დარტყმით ბურთი მეტოქის კარში მოათავსა. მასპინძლები შოკიდან რამდენიმე წუთი ვერ გამოვიდნენ, რითაც ისევ ადრიანომ ისარგებლა და ზე მარიას ჩაწოდებულს შედეგიანად შეაგება თავი.

მეორე ტაიმმა ასევე „რომას“ იერიშებში ჩაიარა, ხოლო „ინტერს“ თავი აღარ მოუკლავს. დედაქალაქელებმა ერთხელ გოლის გატანაც შეძლეს, მაგრამ ლაინსმენმა მონტელას სიხარული ძალიან საკამათო თამაშგარეს აღნიშვნით ჩაუშხამა.

მატჩის მიწურულს ორი მომენტი ჰქონდა იმავე მონტელას, მაგრამ მასპინძელთა ფორვარდმა ტოლდოს ვერ აჯობა. იქამდე კი „ინტერის“ გოლკიპერმა ანტონიო კასანო არ გაახარა.

საბოლოო ჯამში „რომამ“ ერთი ბურთის გაქვითვაც ვერ შეძლო და საპასუხო მატჩი წინ, ფავორიტივად, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. თანაც „გლადიატორების“ სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში დანაკარგებული ლეანდრო კუფრე და ანტონტინო მასსინი არ ეყოლებიან.

„რომას“ თავკაცი ბრუნო კონტი იმედს არ კარგავს: „ჭკვიანი, თასის მოპოვების შანსი კიდევ არის და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. საპასუხო მატჩში დასაკარგი არაფერი გვაქვს. რაც შეეხება ამ შეხვედრას, ძალიან დასანანი მაინც განვიცადეთ. განსაკუთრებით მწყინა გული, როცა ვიხსენებ, რამდენი მომენტი გვქონდა ადრიანოს გოლამდე“.

ცხადია, შედეგით კმაყოფილია „ინტერის“ ხელმძღვანელობა და ადრიანოსადმი საქებარ სიტყვებს არ იშურებს. ბრაზილიელმა განსაკუთრებით გუნდის მფლობელი ძალიან მორატი აღაფრთოვანა.

„ადრიანო ექსტრაორდინალური ფეხბურთელია და ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გვაქვს. ახლა მთავარია, მობილიზაციას არ დავკარგოთ, წინ კიდევ 90 წუთია. ჩემი აზრით, ჯერ ალიანსი არ გადაწყვეტილა. ცოტა ხნის წინ „ლივერპულმა“ ნათლად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება ასეთი დონის მატჩებში ექვს წუთში სამი გოლის გატანა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“ — აღნიშნა „ნერაზურის“ მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

გიორგი კაკაბაძე

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ჰოლანდია. 10 ივნისი — 2 ივლისი

ეს რა გვიქნეს, კაცო...

პატარებმა ბობოლები დააჩოქეს



AFP ფოტოდან

ბრაზილიელებმა ნიგერიელთა მედგარი წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს

E ჯგუფი. I ტური

კოლუმბია 2:0 იტალია

სირია 1:1 კანადა

F ჯგუფი. I ტური

ბრაზილია 0:0 ნიგერია

სამხრეთ კორეა 1:2 შვეიცარია

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი კვლავ აოცებს გულშემატკივრებს. ბოლო ორ ჯგუფში პირველი ტურის მატჩებიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა დასრულდა მოსალოდნელი შედეგით — შვეიცარიამ კორეას სძლია 2:1. თუმც თავისუფლად შეიძლებოდა, ამ მატჩშიც სენსაციის მომსწრენი გავმხდარიყავით. აზიელები მშვენივრად ბურთაობდნენ და ანგარიში გახსნეს კიდეც. შვეიცარიელები არ დაბნეულან და მყისვენ იერიშზე გადავიდნენ, რამაც შედეგი მალევე გამოიღო — 33-ე წუთზე ევროპელები უკვე წინ იყვნენ.

მეორე ტაიმში უკეთ აზიელებმა იბურთავეს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, გოლი გაეტანათ, მაგრამ...

ამავე ჯგუფში ბრაზილიამ მოულოდნელად ვერ შეძლო ნიგერიელთა დამარცხება. სამხრეთამერიკელებმა ჩვეული ფეხბურთი ვერ ითამაშეს და ქომაგთა წყრომაც დაიმსახურეს. მთლად კმაყოფილნი არც აფრიკელები იყვნენ, რადგანაც მათ მატჩის მოგების რეალური შანსებიც ჰქონდათ.

ნიგერიელთაგან განსაკუთრებით სოლომონ ოკორონკვო უნდა გამოვარჩიოთ. პერსპექტიულმა ფორვარდმა ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. კარგად ბურთაობდა იონ ობი მიკელიც. ბრაზილიელთაგან კი ფაბიო სანტოსის გამოყოფა შეიძლება.

ახლა E ჯგუფის მატჩებზეც ვთქვათ. ტურნირის კიდევ ერთი მოულოდნელობა იტალიის ნაკრების წაგება იყო, თუმც კოლუმბიელებმა მეტოქეს თამაშითაც აჯობეს და ქომაგობითაც. სამხრეთამერიკელებს ტილბურგში საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჩაჰყვა და მხურვალედ დაუჭირა მხარი.

შედარებით თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ უპირატესობა მთლიანად კოლუმბიელთა მხარეს გადავიდა და საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. 76-ე წუთზე გოლი რენტერიამ გაიტანა, ხოლო ბოლოო წუთზე მიზანს გუარინის ჩინებულმა შორეულმა დარტყმულმა უწია.

სირიასთან მატჩში ფავორიტად შერაცხული კანადა კი უკვე მე-7 წუთზე მარცხდებოდა. თუმცა ჩრდილოამერიკელებმა მობილიზება შეძლეს და წონასწორობა პირველივე ტაიმში აღადგინეს. ხოლო მეორე ნახევარში მოგებასაც შეეცადნენ, მაგრამ უქმად არც სირიელები ყოფილან. საბოლოო ჯამში ფრეს შეიძლება ლოგიკური შედეგი ვუწოდოთ, მაგრამ იმედგაცრუებული კანადელები სხვაგვარად თვლიდნენ.

გიორგი კაკაბაძე

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

AFP ფოტოდან

ნორვეგიელი ქალები ნახევარფინალში შვედებს შეხვდებიან

ქალური სიამოვნებისა და სიხარულის დღე პრესტონში

B ჯგუფი. III ტური

გერმანია 3:0 საფრანგეთი

ნორვეგია 5:3 იტალია

ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ბოლო **B** ჯგუფის მესამე ტურის მატჩები იყო, რომელშიაც მოლოდინისამებრ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჯგუფისა და მთლიანად ტურნირის მთავარმა ფავორიტმა გერმანიამ ფრანგები დაჩაგრა, უკვე გავარდნილი იტალია კი ვიკინგ გოგოებისგან იგვემა.

ფრანგებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს და თავიდანვე ჟინიანად დაიწყეს. გერმანელთათვის ეს თამაში ფორმალობადა იყო და მეტოქეს ერთ ხანს დაჰყვნენ — მათი თამაში ათამაშეს. თუმცა შესვენებამდე ფრანგები ეგრეც ვერაფერს გახდნენ, მეორე ტაიმში კი გერმანელებს ეტყობა თამაშის ჟინმა წამოუარათ და უცებ მოუთავეს საქმე — ინკა გრინგსმა პირველი გაუტანა. ბრიგიტ პრინცის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით რენატ ლინგორმა გააორა, ბოლოს კი საჯარიმოთი სანდრა მინერტმაც შეაგდო და ფრანგები ძირალზე დატოვა.

მეორე, პრესტონულ შეხვედრაში კი გოლთაცვენა იყო. „ასკუადრა აძურას“, თავშივე ვთქვით, აღარაფერი შველოდა. ნორვეგიელები კი, ცალკე გოლს გოლზე იტანდნენ. ცალკე კი გერმანია-საფრანგეთის მატჩისკენ იყვნენ მიყურადებულნი თუ ფრანგები ქულას მაინც გამორჩებოდნენ, ვიკინგებს ათიც ოთხ გაეტანათ, არ შველოდათ.

მოკლედ ვთქვათ: ნორვეგიელებმა პირველი ტაიმი 4:1 მოიგეს და რაკი მათაც და იტალიელებმაც იცოდნენ, რომ შესვენების მერე ადრენალინი შეიკვლებოდა, უფრო ლაღად ბურთაობენ და 1:54 პრესტონელი მაყურებელი კიდევ რამდენიმე გოლით ასაჩუქრეს.

კოტე კეკელია

საბოლოო ცხრილი

გერმანია	3	3	0	0	8:0	9
ნორვეგია	3	1	1	1	6:5	4
საფრანგეთი	3	1	1	1	4:5	4
იტალია	3	0	0	3	4:12	0

ნახევარფინალი. დღეს

შვედეთი — ნორვეგია

გერმანია — ფინეთი

ხავი ერნანდესი „ბარსელონაში“ კიდევ დიდხანს ითამაშებს

ბარსა იწყებს და ვერ იგებს

აქ არის შენი ბედნიერება, ხავი!

AFP იოკოჰამადან

იაპონელებს პირველი გოლი ლუდოვიკ ჟიულიმ გაუტანა

კატალონიური „ბარსელონა“ იაპონური ტურნეს პირველ მატჩში იქაურ „იოკოჰამას“ გაეჯიბრა და ფრედ 3:3 ითამაშა. ფრანკ რაიკარდმა აზიელებს ექსპერიმენტული შემადგენლობა დაუპირისპირა, ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებსაც წინა სეზონში ტრავმები სტანჯავდა და ახლა ცდილობენ ფორმის აღდგენას. „ბარსას“ ამ ტურნეში ვერ გაჰყვნენ კაპიტანი კარლეს პუიოლი, ანდრეს ინიესტა, ჟულიანო ბელეტი და რონალდინიო. პირველი ორი ტრავმებს იშუშებს, ბრაზილიელები კი გერმანიაში არიან ნაკრებთან ერთად და კონფედერაციათა თასის მატჩებისთვის ემზადებიან.

ზემოხსენებულ შეხვედრაში „ბარსას“ დაცვის ცენტრს ედმილსონი და ჭაბუკი ფერნანდი ნავარო ამაგრებდნენ, თავდასხმაში კი გამოჯანმრთელებულმა ჰენრიკ ლარსონმა და ლუდოვიკ ჟიულიმ ითამაშეს. სწორედ ფრანგმა გაიტანა პირველი გოლი, რასაც ტიაგო მოტამ ორი მიამატა, მაგრამ ეს გასამარჯვებლად საკმარისი არ გამოდგა — 76-ე წუთზე იაპონიელმა ოკუმ პენალტით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 3:3.

„ბედნიერი ვარ, ყოველთვის „ბარსელონას“ ქომაგი ვიყავი და ძალიან მინდოდა გუნდში დარჩენა. დღეს ოცნება ამისრულდა“ — ეს უთხრა კატალონურ „სპორტს“ იაპონიაში გამგზავრების წინ ხავი ერნანდესმა. საქმე ისაა, რომ 25 წლის ხავიმ „ბარსასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გაგრძელა, კლუბის თავკაცებმაც ხელფასიც გაუორმაგეს და ფრანკ რაიკარდიც გაახარეს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ხომ გუნდის წამყვან მოთამაშეებთან გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას ითხოვდა.

ბოლოს იმ სავარაუდო ტრანსფერზეც ვთქვათ, რომლის გაჩარხვისაც „ბარსას“ მესაჭენი ეშურებიან. კატალონიელებს თვალი დაუდგამთ „ჩელსის“ ფრანგ მცველ უილიამ გალასზე და ლონდონელებს 10 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ამ ტრანსფერს, ალბათ, წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან „ჩელსი“ ჯიუტად ცდილობს ჭაბუკი ესპანელის, ასიერ დელ ორნოს და კახა კალაძის შეძენას. ესენი კი მარცხენა მცველები, ანაც გალასის ამპლუის მოთამაშეები არიან. მერე კიდევ, 10 მილიონი გირვანქით გამდიდრებაზე, თვით რომან აბრამოვიჩიც არაა უარის მთქმელი.

სოსო კოტორაძეიშვილი



ხუან ლუის მორა

ვალენსიას მესამე

ესპანურ „ვალენსიას“ ახალი მეკარე ჰყავს. გუშინ ანდალუზიური კლუბის თავკაცებმა „ლევანტეს“ ყოფილ გოლკიპერ ხუან ლუის მორას გაუფორმეს სამწლიანი კონტრაქტი.

ხუან ლუის მორა ახალი სეზონისთვის რიგით მესამე შენაძენია, მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესისა და მასთან ერთად მისული ბრაზილიელი ნახევარმცველის, ედუს შემდეგ.

მეკარემ სეგუნდადივიზიონში გადაჩეხილი „ლევანტე“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და, ცხადია, ვალენსიელებს ტრანსფერში ფული არ გადაუხდიათ.

ხუან ლუის მორა „ვალენსიაში“ გუნდიდან წასული ანდრეს პალოპის ადგილს დაიკავებს და იქაურთა მთავარ მეკარეს, სანტიაგო კანისარესს გაუწევს კონკურენციას.

ლადო ხომერიკი

ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალში“ გამწვრთნელების მერე ლუიშ ფიგუ სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა, პორტუგალიელი კი ის კაცი არ არის, სამარქაფოებში ყოფნას შეეგუოს. ამიტომაცაა, მისი „სამეფო კლუბიდან “წასვლას მეტად რეალურ ამბად რომ მიიჩნევენ. ესპანური პრესა ფიგუს მსურველ გუნდებსაც ასახელებს და მათ შორის ევროპის ისეთი ბობოლა კლუბებიცაა, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მილანი“, „ლივერპული“ და „არსენალი“ რომ არიან. პორტუგალიელის გადაბირებას მადრიდის „ატლეტიკო“, „ლიონი“, „მიდლსბრო“ და ბოლო ინფორმაციით, „ვალენსიაც“ ეშურებიან. ვალენსიელთა ახალდანიშნულ მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესს კლუბის პრეზიდენტ ხუან სოლერისთვის კარი აუტალახებია ფიგუს ყიდვის მოთხოვნით, პრეზიდენტსაც სალარო გაუღია და „რეალისთვის“ საკმაოდ მსუყე თანხა შეუთავაზებია. ახლა სიტყვა ლუიშზეა, საით მიუწევს გული პორტუგალიელს, ამას იმ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც უეფას საინტერნეტო გვერდზე გამოქვეყნდა და რომლის გადმოქართულებულ ვარიანტსაც ქვემოთ გთავაზობთ

საით, ლუიშ?!

ლუშემბურგოზე გაბრაზებული ფიგუ ინგლისისკენ იხედება

ლუიშ ფიგუ შესაძლოა, ვალენსიელი ამადეო კარბონის თანაგუნდელი გახდეს

— „რეალიდან“ წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტეთ?

— „რეალთან“ კონტრაქტი გაისად მისრულდება, მაგრამ გუნდში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ალბათ მადრიდიდან წავალ. ვანდერლეი ლუშემბურგო არ მენდობა, ძირითად შემადგენლობაში იშვიათად მაყენებდა. განსაკუთრებით დამწყდა გული, როცა „ბარსელონასთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე დამსვა. არადა, კარგ ფორმაში ვიყავი და ძირითადში თამაშს ნაღდად ვიმსახურებდი. ამიტომაცაა, „რეალიდან“ წასვლას რომ ვფიქრობ, თუმც ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. კლუბის თავკაცებს შევხვდები, ჩემ მომავალზე დაველაპარაკები და სწორედ ამის მერე გეტყვით, სად გავაგრძელებ კარიერას.

— თქვენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ გიწვევენ. ბევრჯერ გითქვამთ, რომ პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივა გხიბლავთ...

— მართალია, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ინგლისში. ამ ბოლო ხანს პრემიერლიგის დონემ საგრძნობლად აიწია და იქაურ კლუბებში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები მიდიან. არც იმას დავმალავ, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ და „ლივერპულიდან“ რომ დაინტერესებულნენ, თუმც, ზემოთაც გითხარით, ჯერ ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო.

— თუ „მანჩესტერში“ გადახვედით, იქ თქვენი თვისტომი კრისტიანო რონალდო დაგხვდებათ, რას გვეტყვით ამ ბიჭზე?

— კრისტიანო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. ის ძალიან სწრაფია და ბრწყინვალე დრიბლიორია. მცველებს კრისტიანოს წინააღმდეგ თამაში არ უყვართ. ვფიქრობ, რომ მას კიდევ შეუძლია მოუმატოს და საუკეთესოთა შორის საუკეთესო გახდეს. მე მას არ შევადარებ საკუთარ თავს და დევიდ ბექემს, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მარჯვენა ნახევარმცველები ვართ და სამივეს 7-ნომრიანი მაისურით გვითამაშია. ერთს კი გეტყვით, მეც, დევიდსაც და კრისტიანოსაც ფლანგური შეტევები კარგად გამოგვდის. და მაინც, მე ორივეზე მაგარი ვარ, რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო.

— ბექემზე ჩამოაგდეთ სიტყვა და მასზეც გკითხავთ, რა როლს თამაშობს ის „რეალში“?

— დევიდს ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე და ცენტრშიც შეუძლია თამაში. მის მხარდამხარ თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ლუშემბურგოს მოსვლის მერე ასეთი შესაძლებლობა იშვიათად მეძლეოდა. რას იზამ, მთავარი სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის. ლუშემბურგო კი სასტარტოში ლუიშ ფიგუს დევიდ ბექემს ამჯობინებდა.

არგენტინული რეალის გერმანული მისწრაფებანი

არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ მალე შეიძლება ახალი მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში. გაზეთ „კლარინის“ ცნობით, იგი სავარაუდოდ, ლეგენდარული გერმანელი ბერნდ შუსტერი იქნება.

ყველაფერი კი „ბოკას“ პრეზიდენტ მაურისიო მაკრისა და ლეგენდარული დიეგო მარადონას შეხმატკბილებული თანამშრომლობით დაიწყო. მაკრის თქმით, მარადონა „ბოკა ხუნიორსში“ შინაური კაცია და მის რჩევებს კლუბის ხელმძღვანელობა აუცილებლად ითვალისწინებს. ჰოდა, დიეგო არმანდომაც არგენტინული კლაუსურას ცხრილში მე-14 ადგილზე გაჭედილ გუნდს თურმე მწვრთნელის შეცვლა და „ბომბონერაზე“ ჩინო ბენიტესის ნაცვლად თავისი „ბარსელონას“ დროინდელი ძმაკაცის, ბერნდ შუსტერის მიყვანა ურჩია



ბერნდ შუსტერი

„ბერნანდო“ — ასე ეძახის მარადონა გერმანელს — თავადაც მონდომებულია, თუმცა სანამ ამ ყველაფერზე დაწვრილებით გიამბობდეთ, სენიორ მაურისიო მაკრის გასაჭირსა და სამომავლო გეგმებზე მოგახსენებთ.

ხორხე ანუ ჩინო ბენიტესი, ბუენოს აირესელთა დღევანდელი დამრიგებელი, წესით, „ბოკა ხუნიორსიდან“ 31 დეკემბრის მერე უნდა წავიდეს, მაგრამ კლაუსურაში საქმეები იმნაირად დატრიალდა, როგორც ჩანს კონტრაქტის დასრულებას აღარავინ აცლის. გუნდში რთული ვითარებაა, ფეხბურთელებს შორის უთანხმოებაა, რასაც პრეზიდენტი მაკრი მწვრთნელის სუსტ ნებისყოფას და შეგირდთა პრობლემებისადმი ზერელე დამოკიდებულებას აბრალებს. აქამდე მაკრის რამდენჯერმე უთქვამს კიდეც, „ბოკას“ დამრიგებლად უცხოელი, უფრო კი ევროპელი სპეციალისტი მინდაო, რაც როგორც მოგახსენეთ, შეიძლება „ბოკას“ სათავეში ბერნდ შუსტერის მიყვანითაც დაგვირგვინდეს.

არგენტინული პრესის ცნობით, სენიორ მაკრიმ ნიადაგი ჯერ ჰოლანდიელ ვან გაალთან მოსინჯა, მერე კი მდიდარი ევროპული გამოცდილების მქონე მექსიკელი უგო სანჩესის ვარიანტი ჩაეშალა. სხვა ოკეანისგადმოღმელი მწვრთნელის სახელი ჯერჯერობით არ დასახელებულა, ხოლო ადგილობრივი, არგენტინული სისხლის და თანამედროვე საფეხბურთო ხედვის მქონე სპეციალისტები, მაგალითად, ხულიო ფალკინო და ხორხე ბურუჩაგა, „ბოკას“ პრეზიდენტს კატეგორიულად არ სჭირდება.

„ჯერჯერობით გუნდის სათავეში ისევ ბენიტესია, მაგრამ მას თუ შევცვლით, აუცილებლად ევროპელს მოვიყვანთ“ — ამბობს მაურისიო მაკრი დაბეჯითებით და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.

ახლა კი თავად ბერნდ შუსტერის სამხრეთამერიკული მისწრაფებების შესახებ.

— „ბოკა ხუნიორსი“ არგენტინული „რეალია“ და მოხარული ვიქნები, თუ ოდესმე ასეთი დიდი წარსულისა და კლასის გუნდს ვუხელმძღვანელებ“ — განაცხადა გერმანელმა ესპანურ „რადიო მიდრესადმი“ მიცემულ ინტერვიუში. აღმოჩნდა, რომ „ბერნარდო“ არგენტინის ჩემპიონატისა და ლიბერტადორესის თასის დიდი მოყვარულიც ყოფილა. თურმე „„ბოკას“ მონაწილეობით მატჩებს ტელევიზორით ადევნებს თვალყურს.

„მომწონს ზოგადად სამხრეთამერიკული მენტალიტეტი და კერძოდ, არგენტინულ საფეხბურთო ტრადიციებსაც უდიდეს პატივს ვცემ“ — თქვა მარადონას ძველმა მეგობარმა, რომელმაც უკრაინულ „შახტარში“ მწვრთნელად მუშაობის პერიოდში, „ბოკას“ მაშინდელი ძლიერი მობურთალი ნიკოლას ბურდისო თავისთან მიიპატიჟა, თუმც ბურდისომ ევროპაში გადასვლისგან თავი შორს დაიჭირა. ვინ იცის, სულაც ევროპა კი არა, უკრაინის ჩემპიონატი დაიწუნა... გარდა ამისა, შუსტერს არგენტინაში თავისი კერპიც ჰყავს — 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ლუის სესარ მენოტი.

„წილად მხვდა ბედნიერება, მენოტი „ბარსელონაში“ ჩემი მწვრთნელი ყოფილიყო. სწორედ მისი დამსახურებაა, ჩემი გუნდები ყოველთვის ლაღ და მოიერიშე სტილს რომ ანიჭებენ უპირატესობას“ — აღნიშნავს მადლიერი გერმანელი.

„ბოკას“ სავარაუდო მომავალმა თავკაცმა, ფეხბურთელობის წლებში მენოტისა თუ სხვა მწვრთნელთა ხელმძღვანელობით 445 მატჩი ითამაშა და 105 გოლი გაიტანა. მშობლიურ ბუნდესნაკრებში კი მან მხოლოდ 21 შეხვედრა ჩაატარა, რადგან გუნდის ლიდერებს წაეკიდა და იქაურობას აღარ გაჰკარებია. თავიდან გამოდიოდა „კიოლნში“ (1978-80), მერე კი ესპანური პრიმერადივიზიონის გრანდების მაისურა მოირგო ზედიზედ — „ბარსელონა (1980-88), „რეალი“ (1988-90) და „ატლეტიკო“ (1990-93). შემდეგ იყო გერმანული „ლევერკუზენისა“ (1993-98) და მექსიკური „უნამ პუმასის“ (1996) პერიოდი.

„ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გუნდი შუსტერს ჩააბაროს — წერდა გუშინდელი „კლარინი“.

დიეგო ლუგანოს ოცნება აუხდა, იგი მადრიდის „რეალმა“ მიიწვია

ლუგანო ჯერ ბრაზილიაშია

„სან პაულუს“ 24 წლის ურუგვაელი მცველი დიეგო ლუგანო სავარაუდოდ, კარიერას მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გააგრძელებს. ბრაზილიური პრესის ცნობით, ოკეანისგადმელი უკანახაზელით მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო დაინტერესდა. საქმე ისაა, რომ „სამეფო კლუბის“ არგენტინელი მცველი ვალტერ სამუელი მალე, ალბათ, ჩვეულ ლიგაში, სერია **A**-ში, ოღონდ „რომაში“ კი არა, ახალ გუნდში, „ინტერში“ გადავა და ლუშემბურგოსაც გამოთავისუფლებულ ადგილზე ძლიერი მცველის მიყვანა სჭირდება.

ლუგანოს ურუგვაის ნაკრებშიც მუდმივად იწვევენ. ალბათ, ამიტომაცაა იგი ლუშემბურგოს უკვე კარგა ხანია მიზანში რომ ჰყავს ამოღებული.

ლუგანო შედარებით ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილი ფეხბურთელია და დაცვის ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე ერთნაირი სიძლიერით შეუძლია თამაში.

„მსოფლიოს ნებისმიერ ფეხბურთელს [illegible] ფრთოვანებს „რეალისთანა“ გუნდში [illegible] დრის პერსპექტივა და გამონაკლისი [illegible] არც მე ვარ. ცნობამ იმის შესახებ, რომ შეიძლება გაისად „ბერნაბეუზე“ [illegible] ჩემზე მეტისმეტად იმოქმედა“ — [illegible] დიეგო ლუგანო, რომელიც მარიალია, „სან პაულუში“ კონტრაქტის თანახმად [illegible] ერთი წლით უნდა დარჩეს. მაგრამ [illegible] ხელშეკრულებაში უწერია, რომ [illegible] დიდი ევროპული კლუბის ოფიციალური შემოთავაზების შემთხვევაში, ბრაზილიელ [illegible] ბთან თანამშრომლობას უპრობლემოდ [illegible] წყვეტს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ [illegible] ელის აგენტი, ცნობილი ბრაზილიელი საქმოსანი ჟუან ფიგეირა, ვინაც [illegible] ლად „რეალის“ თავკაცის, ვანდერლეი [illegible] მბურგოს წარმომადგენელიც არის. [illegible] ყველაფერი ჯერ ვარაუდია და დიეგო ლუგანო „სან პაულოს“ ძირითადი [illegible]

ზაგალო რიოს სახლშია

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა მარიო „ლობო“ ზაგალო რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ ჰოსპიტალში თვეზე მეტხანს მკურნალობის შემდეგ, შინ დაბრუნდა. 73 წლის ზაგალო თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გამო მოხვდა საავადმყოფოში, იქ კი ექიმთა ზედამხედველობის ქვეშ, თუ ეს სიზუსტე რამეს იძლევა, 32 დღე გაატარა. ამჟამად მწვრთნელი რიო დე ჟანეიროს სახლშია, სადაც მკურნალობის შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. ექიმთა განცხადებით, იგი ჯერ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის, ამიტომაც, მედიკოსები ზაგალოს ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნების ზუსტ ვადას ვერ ასახელებენ. მოგეხსენებათ, ეს ღვაწლმოსილი კაცი დღეს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის, კარლოს ალბერტო პარეირას თანაშემწეა.

„ცხადია, მარიო ზაგალო სამწვრთნელო შტაბს კონფედერაციათა თასისთვის ვერ დაუბრუნდება“ — წერენ ბრაზილიური გაზეთები.

შეგახსენებთ, რომ მარიო ზაგალო მსოფლიო ფეხბურთში უნიკალური რეკორდის მფლობელია. იგი ერთადერთია, ვინც ასეთი თუ ისეთი სახით, მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატი მოიგო — ორჯერ, როგორც ფეხბურთელმა (1958-1962), ერთხელ როგორც მწვრთნელმა (1970) და ერთხელაც როგორც მწვრთნელის თანაშემწემ (1994).



მარიო ზაგალო საბოლოოდ გამოჯანმრთელდა

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
იტალია. სერია A								
14 ივნისი								
22:30	1	პარმა-ბოლონია	2.10	2.90	3.30	1.21	1.28	1.54
რუსეთი								
15 ივნისი								
15:00	14	ცსკა-სოჩი	1.55	3.70	5.80	1.09	1.22	2.25
15:00	15	ლოკომოტივი-ზენიტი	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
სლოვაკეთი								
15 ივნისი								
19:30	24	ბელორადა-ტრენჩინი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
19:30	25	ბანსკა ბრიცა-რუჟომბეროკი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
19:30	26	სიბიუ-ბეხიუ	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
19:30	27	ტრნავა-ფუბნიკა	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:30	28	�lina-ინტერი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
დანია. სუპერლიგა								
15 ივნისი								
21:00	29	ოლბორგი-კოპენჰაგენი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
21:00	30	ორჰუსი-ბრონდბიუ	2.95	3.30	2.10	1.55	1.22	1.28
21:00	31	ვინტერი-ბიდერიტლანდი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
21:00	32	ნორდსჯალანდი-ხოლბეკი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
21:00	33	ფერენსვარეთი-ოდენსე	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
21:00	34	ვინერი-ნორდფიენი	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
ფინეთი								
15 ივნისი								
20:00	91	იფსალა	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
20:00	92	ვეი

ნაკრების ტვინი თბილისში

გორდონ ჰერბერტის პროექტი: პროფესიონალიზმი + პატრიოტიზმი

ისევე როგორც ორი წლის წინათ, ფედერაციის ორმა დიდმოხელემ ახლაც შუაში ჩამდგარი, ლამის ხელჩაკიდებული შეიყვანა საპერსკონფერენციო ოთახში ეროვნული ნაკრების ახალი თაკკაცი და ჟურნალისტებს გააცნო. მაშინ, 2003-ში ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა მედიას დრაჟენ ბრაიკოვიჩი გააცნეს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი მწვრთნელი უსახელო გახლდათ, გვარიანი რეკლამა გაუკეთეს, გუშინ კი მსგავსი არაფერი მომხდარა. ახალ მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს საპრესკონფერენციო მაგიდასთან მხოლოდ ფედერაციის პრესსპიკერი ზურაბ თალაკვაძე ეჯდა, რომელსაც თარჯიმნობა დაეკისრა. საკუთრივ ლიპარტელიანი და რატიშვილი კაფე „მსოფლიო სპორტის" ერთ-ერთ განაპირა მაგიდასთან ისხდნენ და ახალი მწვრთნელის საპრეზენტაციოდ თავი არ შეუწუხებიათ.

ჰერბერტი ხომ ის კაცია, ვისაც რეკლამა არ სჭირდება. ჰოდა, ქართული კალათბურთის უფროსობაც კმაყოფილებით განმსჭვალული შესცქეროდა საკუთარი სატრანსფერო შრომის ნაყოფს — პარიზის „რასინგის" კანადელ, თუმც ევროპაშიც სახელდაგდებულ თავკაც გორდონ ჰერბერტს.

„ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა — დაიწყო ჰერბერტმა — საქართველოს ნაკრების ჩაბარებით საკმარისზე დიდი გამოწვევა მივიღე და ვეცდები, გულშემატკივარი არ დავალალატო. მე ვიმუშავებ არა ფედერაციაზე, არამედ ფედერაციასთან ერთად და მჯერა, რომ სასურველ შედეგსაც მივაღწევთ".

— რამდენი ხნით ჩამოხვედით და რას გეგმავთ?

— ამჟამად ჩემი მთავარი მიზანი საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან დაახლოება, მის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებაა. ჩვენ ერთად უნდა შევიმუშავოთ კონკრეტული გეგმა, რისი მიხედვითაც ნაკრები მოემზადება. რა თქმა უნდა, ნაკრების წევრებსაც შეეხვდები, თუმც ამჯერად მხოლოდ გავიცნობ. ოთხშაბათს უკან მივემგზავრები და მათ საქმეში ნახვას ვერ მოვასწრებ.

— თუ იცნობთ ჩვენი ნაკრების წევრებს და რას ფიქრობთ, მოერგებიან ისინი თქვენს სათამაშო სქემას?

— ისინი კი არ უნდა მოერგონ ჩემს სქემას, არამედ მე უნდა მოვერგო მათ სათამაშო სტილს და ყველაზე რაციონალური ტაქტიკა შევიმუშავო. მე არ ვიცნობ ყველას. მეტიც, მე ძალიან მცირე ნაწილი ვიცი — ცქიტიშვილი, ფაჩულია, ბოისა და, რა თქმა უნდა, შემონდ უილიამსი. დანარჩენებსაც გავიცნობ და მერეღა შევარჩევ იმ სქემას, რომლითაც საქართველოს ნაკრები ითამაშებს. „რასინგში" მე სრულიად სხვაგვარი ტაქტიკით მიწევდა ხელმძღვანელობა, რადგან ეს გუნდი პერიმეტრის მოთამაშეებზე იყო ორიენტირებული. საქართველოს ნაკრების მთავარი ძალა კი მეფარეები არიან და შესაბამისად სხვანაირი სქემის შემუშავება მოგვიწევს.

— რას ფიქრობთ, როგორ შეეწყობიან საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები ლეგიონერებს?

— სამწუხაროდ, აქ მოთამაშე კალათბურთელებს არ ვიცნობ, მაგრამ ეს დროის ამბავია, ისევე როგორც მათი ლეგიონერებთან შეთამაშება. მინდა აღვნიშნო, რომ ნაკრებში ის 12 მოთამაშე კი არ მოხვდება, ვისაც ყველაზე კარგი რეპუტაცია და წარსული აქვს, არამედ ისინი, ვინც კონკრეტული მომენტისთვის იქნებიან მზად.

— რას იტყვით რევაზ დიდიასა და გიორგი მამაცაშვილზე, რომლებიც „რასინგის" დუბლიორთა გუნდში თამაშობენ?

— მე მათ პირადად არ ვიცნობ, „რასინგის" დუბლიორებში ძალიან ბევრი ლეგიონერია. როცა ფრანკფურტის „სკაილაინერსში" ვმუშაობდი, მაშინ მთელი გუნდის სელექცია ჩემზე იყო დამოკიდებული, „რასინგში" კი ისე ვართ შეთანხმებულნი, რომ გუნდის მენეჯერისა და პრეზიდენტის შემოთავაზებული კალათბურთელები უნდა ვათამაშო.

— რატომ გადახვედით ჩემპიონი „სკაილაინერსიდან" პარიზის „რასინგში"?

— საფრანგეთის ლიგა გერმანულზე გაცილებით ძლიერია და პარიზის „რასინგიდან" შემოთავაზებაზე უარი არ მითქვამს. საფრანგეთში კალათბურთის უფრო რაციონალური ხედვაა, რაც ახლოა ნბა-სთან. თანაც „რასინგის" მფლობელია მსოფლიო კალათბურთში ცნობილი ფიგურა მარკ ფლეიშერი და ესეც გავითვალისწინე.

— თქვენ ასევე კარგად იცნობთ ფინურ კალათბურთს, ამ ქვეყნის ნაკრები კი ჩვენი მეტოქეა ევროსაკვალიფიკაციოს გადამწყვეტ მატჩში...

— ფინელებს საკმაოდ გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელი ჰყავთ და არანაკლებ სახიფათონი არიან, ვიდრე მაკედონიელები. ძალიან სერიოზული და მძიმე ბრძოლები გველის.

— რას ფიქრობთ, დავამარცხებთ ამ ნაკრებს?

— მოთამაშეებმა უნდა გაითავისონ, რომ ისინი არა ჩემს ან ფედერაციის მიმართ არიან ანგარიშვალდებულნი, არამედ საშშობლოს მიმართ. პატრიოტიზმი დაგვეხმარება. ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაში, ოღონდ ეს გრძნობა უნდა იყოს ნაღდი და გულწრფელი. [illegible] არგენტინა, რომელსაც [illegible] წინათ არავინ [illegible] ნაკრები შარშან ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. არგენტინამ თვით ამერიკელ პროფესიონალებსაც აჯობა და ეს მოახერხა უდიდესი მონდომებისა და პატრიოტული აღტკინების ხარჯზე. მწვრთნელები არაფერს დავიშურებთ და საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმაც უნდა შეგვიწყონ ხელი, რომ წარმატებას მივაღწიოთ.

— თქვენი ასისტენტი კის იქნება?

— კიტ შილდსი ყველაზე [illegible] ლური კანდიდატია ამ პოსტზე. [illegible] უდიდესი გამოცდილება აქვს [illegible] კომპეტენციით მე არ [illegible] დება. მისგან არაერთხელ [illegible] რჩევები, როცა „სკაილაინერსში" [illegible] ვმუშაობდი, შილდსის დიდი გამ[illegible] ცდილება საქართველოს ნაკრ[illegible] განვითარების სრულიად ახალ [illegible] პზე გადაიყვანს. მე და შილდ[illegible] გვინდა დაგეხმაროთ, ითამაშ[illegible] დესი პოტენციალი [illegible] ძლიერ[illegible] ფექტურად აქციოთ. საქართველ[illegible] ნაკრებმა უნდა ითამაშოს სწორ[illegible] ლებური კალათბურთი და [illegible] უნდა გეამაყებოდეთ. რომ ძლ[illegible] ეროვნული გუნდი გყავთ.

— თქვენი გეგმები როგორია?

— 19 ივნისს ამერიკაში, [illegible] კი სან ანტონიოში მივემგზავრები [illegible] ზაფხულო ლიგაზე. იქ ნბა-ს [illegible] ნდი შეიკრიბება და მე „სან ანტონიოს" ასისტენტი მწვრთნელი [illegible] მე დავაკვირდები ლიგატუნ[illegible] ახალგაზრდებს და მათ [illegible] შეხედულებებს ვავუზიარებ [illegible] რხის" ხელმძღვანელობას.

— საქართველოში რიგის [illegible] რუნდებით?

— დაახლოებით [illegible] ცხვებში. 1 აგვისტოდან, სანამ ნაკრ[illegible] ბის შეკრება დაიწყებოდეს, [illegible] მის მოწყობა მინდა. სადაც [illegible] შეებს უფრო ახლოს გავეცნო.

ირაკლი პერტაია

NBA PLAY OFF 2005 ფინალი

სან ანტონიო 2:0 დეტროიტი

12 ივნისი. სან ანტონიო. ესპისი სენთერი. 18 797 მაყურებელი

ვერ დაიჭირავთ მანუსა



სან ანტონიო 97:76 დეტროიტი

30:19 28:23 21:21 18:13

სან ანტონიო: პარკერი (12), ჯინობილი (27), ბოუენი (15), დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება), მუჰამედი (6); ჰორი (12), უდრიჰი (7), ბერი, რობინსონი, ნესტეროვიჩი, ბრაუნი, მასენბურგი

დეტროიტი: ბილაფსი (13), ჰამილტონი (14), პრინსი (3), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (9); მაკდაიესი (15), ჰანტერი (7), აროიო (4), ჰემი, მილიჩიჩი, დიუპრე

„სან ანტონიო" ფინალურ სერიას რომ მოიგებს — საკითხავი ისღაა, რამდენ მატჩში — უძვირფასეს მოთამაშედ არგენტინელ ემანუელ ჯინობილის დაასახელებენ. ცოტა თამამი პროგნოზი კი გახლავთ, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო და ორგზის ჩემპიონებმა სამგზის ჩემპიონებს პირველი ორი მატჩი ჯამში 36 ქულით რომ მოუგეს, ეს სწორედ მფრინავი არგენტინელის დამსახურებაა.

რა ეტაკა „დეტროიტს"? უხეშობაში ნუ ჩამოგვართმევთ და, სწორედ ჯინობილი ეტაკა. ტიმ დანკანი, ტონი პარკერი და სხვა სანანტონიოელები ასთავიან დევებად ნაღდად არ ეჩვენებათ დეტროიტელებს, მაგრამ მანუს რა უნდა მოუხერხონ, ამაზე სერიოზულად დაფიქრება და წამუშავება მართებთ, თუ არ უნდათ, ფინალი 0:4 შერცხვენილებმა დაასრულონ.

ტეხასელები ამბობენ, ამ სერიის პირველ მატჩში ლეგენდა დაიბადაო. ჯინობილის კარგი თამაში მოულოდნელობა არასდროს და არავისთანაა, მაგრამ იმ პირველი თამაშის ბოლო მეოთხედამდე დეტროიტელები ასე თუ ისე მარჯვედ იცავდნენ მისგან თავს, მეოთხე მეოთხედში კი მრიშალნენ და ჯინობილიმაც საქმენი საგმირონი ორივე ხელით აკეთა.

ახლა კი „სფურზის" არგენტინელმა მსროლელმა თავიდანვე მიხედა საქმეს და პირველივე წამებიდან დაწინაურებული „სან ანტონიოს" ბოლომდე შეუნარჩუნა ლიდერობა. ისე, არავინ დაეჭვებულა, მატჩი სწორედ ამ შედეგით რომ მორჩებოდა. ჩემპიონები თავიდანვე დაბნეულები ჩანდნენ. მასპინძელი ბრიუს ბოუენის მკლავებში ჩაკარგულ „პისტონზის" ბომბარდირ რიპ ჰამილტონს უქმოქმედობაში წინა მატჩში რიგიანად მოთამაშე ჩონსი ბილაფსმაც „აუბა მხარი" და რაკი დეტროიტელ უკანახაზელებს ხელ-ფეხი დაებორკათ, მასპინძლებმა იოლად გაიტანეს თავისი — პირველი მეოთხედი 11 ქულით მოიგეს, ტაიმი 16-ით, ხოლო მესამეში 23 ქულითაც კი დაწინაურდნენ.

ჩემპიონები რისი ჩემპიონები იქნებოდნენ, ასე რომ ეჩუქებინათ თამაში — ბოლო მეოთხედში გაიბრძოლეს და ჰამილტონის გარღვევაზე ჩაგდებული ორქულიანის შემდეგ „დეტროიტი" რვა ქულამდე წამოეპარა „სან ანტონიოს" — 73:81. „სფურზის" თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა წუთშესვენება აიღო და...

...ჯინობილი წყვილ საჯარიმოს აგდებს, ბილაფსი კი ჯერ სამქულიან აცილებს, შემდეგ კი ორიანს...

...ჯინობილის დარად უდრიჰიც ორჯერ ზუსტად იყენებს საჯარიმო ტყორცნას, ხოლო არგენტინელი „დეტროიტის" შეტევისას ბურთს ჭრის და ბოუენს სამქულიანს აკდებინებს...

ისევ დეტროიტელები არიან ბურთით და ისევ... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩემპიონებმა ზედიზედ ექვი შეტევა გააფუჭეს და ბოლოს და ბოლოს რომ ჩააგდეს, „სან ანტონიო" უკვე 94:73 გაჭრილიყო წინ. მატჩის დამთარებამდე სამი წუთით ადრე გრეგ პოპოვიჩმა ჯინობილი დაასვენა და ფიცარნაგიდან გასული გმირი ტეხასელებმა ტაშით და ფეხზე წამომდგარებმა გააცილეს.

სან ანტონიოში წყვილი მატჩის შემდეგ გუნდები დეტროიტში გადაინაცვლებენ, სადაც მომდევნო სამი მატჩი იგეგმებოდა. მაგრამ თუ ჩემპიონებმა რაიმე არ მოუხერხეს არგენტინელ კონდორს, მესამე იქნებ აღარც გახდეს საჭირო.

კოტე ყორღანია

ბორჯღალოსნებმა ქუთაისს რაგბი დაუბრუნეს



საქართველო კვლავ პირველია. ერთა თასის წლევანდელი გაიმაშების ბოლო ტურში 61-ქულიანი სხვაობა გვჭირდებოდა და მოვახერხეთ. „ბორჯღალოსნებმა“ კიდევ ერთი ზეიმი გვაჩუქეს.

დიდი რაგბის დაბრუნება ქუთაისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე თუ არა, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ნამდვილად იგრძნობოდა. დროშებით შეიარაღებული მაყურებელიც მრავლად ჩანდა და არც უდროშოებს ეტყობოდათ გულშემატკივრული ყინის ნაკლებობა.

მიუხედავად ამისა, „ტორპედოს“ სტადიონზე ანშლაგი არ ყოფილა, თუმც დასავლეთ — აღმოსავლეთი მაინც შეივსო. რიონისპირელ ქომაგთა ტემპერამენტს თუ გავითვალისწინებთ, რაღა გასკვირია, რომ ჩვენებურთ გამამხნევებელი შეძახილები მაინც არ მოჰკლებიათ.

ეს ყველაფერი სასიამოვნოა, მაგრამ სტადიონის ადმინისტრაციამ რომ მოლად კარგად ვერ იმუშავა, ესეც აღსანიშნავია. ჯერ ჟურნალისტების შეგვექმნა ტრიბუნებისკენ მიმავალ გზაზე პრობლემა, შემდეგ კი პრესკონფერენციის გაძართვას არ დაადგა საშველი. მცირერიცხოვან ჯარისკაცებს, რომელთაც წარმატების შემთხვევაში აჟიტირებული ხალხის მოედანზე გავარდნა უნდა შეეკავებინა, სახეზეკვე ეტყობოდათ, ამ ფუნქციის შემსრულებლები არ იყვნენ. მათი ბრალიც არ არის, ცოტანი იყვნენ და რომც მოენდომებინათ, ვერაფვრს გახდებოდნენ. დიქტორმაც თამაშის დაწყებიდან 15-20 წუთის შემდეგ გვამცნო, დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე საქართველო-ჩეხეთის მატჩი გაიმართებაო.

ახლა კი ამ სეკდიან, მაგრამ საქართველოსათვის ჩვეულებრივ ამბებს თავი დავანებოთ და უფრო სასიამოვნოზე, ანუ საკუთრივ თამაშზე გადავერთოთ.

მატჩი ჩვენი უპირატესობით დაიწყო და ჩეხები რომ მომგებნი არ იყვნენ, პირველი წუთებიდანვე გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მათგან საუკეთესოდ მოთამაშე მარტინ კაფკამ ჯარიმა გაგვიტანა და სტუმრები 0:3 დააწინაურა.

ეს იყო და რაგბიში ალბათ ნაკლებად ჩახედულმა ერთ-ერთმა ქომაგმა დაიძახა, არ ვართ ჩვენ მომგებები, როდის იყო, მაგენი „რეშაიუში“ თამაშს იგებდნენო. როგორც ჩანს, ამ ქომაგს უბრალოდ სპორტის სახეობა შეეშალა.

ერთი წუთი თუ იქნებოდა გასული, რაც ჩეხებმა ჯარიმა გაგვიტანეს, რომ მაჩანელმა ლელო მიართვა, ურჯუკაშვილმა კი გარდასახვა და დაიწყეთ, მაგრამ რა დავიწყეთ.

სტუმრებს სისწრაფეშიც ვაჯობებეთ, კომბინაციურ თუ ძალისმიერ თამაშშიც, შერკინებაშიც, მოკლედ, ყველაფერში ერთადერთის გარდა. საკუთარი აუტი ჩვენ ოდნავ მეტი წავაგეთ ვიდრე ჩეხებმა.

პირველ ტაიმში კიდევ 4 ლელო გავიტანეთ ერთმანეთის მიყოლებით შველიძემ, გორგოძემ, უდესიანმა და ურუშაძემ შეიდწიეს მოშდურთა ჩითვლის მოედანში. ურჯუკაშვილმაც უმეტეს მათგანს გარდასახვები მიაყოლა და პირველი ტაიმი 37:3 მოვიგეთ.

შესვენებაზე ის იყო იმაზე ფიქრი დავიწყეთ, რომ 34-ქულიანი სხვაობა პირველი ტაიმისთვის სრულიად საკმარისი იყო, რადგანაც მეორე ტაიმში ასეთი თამაშით კიდევ 27 ქულის მიმატება არ უნდა გაგვჭირვებოდა, რომ ამგვარ ფიქრთა დინება საქართველოს პრეზიდენტის გამოჩენამ შეგვაწყვეტინა. მიხეილ სააკაშვილი მისთვის ჩვეულ სტილში, მოულოდნელად დაგვაცხრა თავს და იქვე სტადიონზე საპატიო წრის დასარტყმელად გამზადებულ 20-წლამდელ „ბორღჯალოსნებს“ ევროჩემპიონობა მიულოცა.

ტრიბუნებზე ახლა სულ სხვა განწყობა სუფევდა. აღარსად ჩანდა ის გულშემატკივარი „რეშაიუში“ მატჩებს ვერ ვიგებთო, რომ ამბობდა. მოედანზე დაბრუნებულ გუნდებს ხალხი იმედით სავსე შეძახილებით შეხვდა და თამაშიც განახლდა.

7 წუთი იქნებოდა გასული მეორე ტაიმის დაწყებიდან, ზიბზიბაძემ და გორგოძემ ლელოების გატანა რომ მოახერხეს. ურჯუკაშვილმაც ერთი გარდასახა და „ბორჯღალოსნები“ 49:3 დაწინაურდნენ, თუმცა ჩეხებს თითქოს რაღაც ბზიკმა უკბინაოა, ისე აგრესიულად შემოგვიტიეს. მათგან ასეთ გააქტიურებას არც მორაგბეები ელოდნენ და არც გულშემატკივრები, ამიტომაც ალბათ ცოტა დაიბნენ ერთნიც და მეორენიც. ჩეხთა აფეთქებამ ის შედეგი მოიტანა, რომ მატჩის 52-ე წუთზე მათმა კაპიტანმა ლადისლავ ვონდრაშეკმა ლელო გაგვიტანა, კაფკამ კი გარდასახვა მიაყოლა და ანგარიშიც 49:10 გახდა.

სხვაობა 39 ქულამდე შემცირდა. თამაშის დამთავრებამდე 28 წუთი დარჩა, ჩვენ კი 22 ქულა გვჭირდებოდა.

ის იყო ჩვენგან უკვე ორჯერ ნახსენებ გულშემატკივარს ისევ ხმა უნდა ამოეღო, რომ გორგოძემ ჩეხების შეცდომით ისარგებლა, ბურთს დაეუფლა, მთელ დაცვა გაარღვია და... ურჯუკაშვილის გარდასახვის შემდეგ ანგარიში 56:10 გახდა.

კიდევ ცოტა მოთმინებაც და პირველობას ვეღარავინ შეგვეცილებოდა. მთავარი ახლა ის იყო, „ბორჯღალოსნებისთვის“ ძალას არ ემტყუნა და კიდევ ცოტათი მისწოლოდნენ მეტოქეს.

როგორც კაპიტანს შეშვენის, ილო ზედგინიძემ ასეთ გადამწყვეტ მომენტში იყოჩაღა და ურჯუკაშვილს კიდევ ერთხელ მისცა გარდასახვის დარტყმის საბაბი. 61:10 და წარმატებამდე უკვე 10 ქულაღა გვაკლდა. მეორე ტაიმის დამთავრებამდე ოხუთმეტიოდე წუთით ადრე ზიბზიბაძემ თავისი მეორე ლელო მიითვალა და ანგარიში 68:10 გახდა. ახლა სულ რაღაც 3 ქულაღა გვაშორებდა სასურველ შედეგს. დროც საკმარისი იყო, თუმც ჩეხები ბოლომდე არ აპირებდნენ დანებებას და ისევ ისე უცნაურად აფეთქდნენ. შემოგვიტიეს და ჩვენს ნახევარზე გამაგრდნენ. სტუმრები ერთი-ორჯერ ისე მოგვიახლოვდნენ, რომ ქომაგს ცივმა ოფლმა დაასხა, თუმც...

მატჩის დამთავრებამდე 2 წუთიღა რჩებოდა. კვირიკაშვილმა ბუროი მეტოქის ჩათვლის მოედანზე ძიტანა და გარდასახვა რომც ვერ გაგვიტანა, პირველობა ჯიბეში გვქონდა.

მსაჯის სასტვენი და გახარებული ქუთაისელი ქომაგის მოედანზე გავარდნა ერთი იყო. ჩვენებმა კიდევ ერთხელ შეძლეს ის, რისთვისაც ასე გვიყვარს ეს ბიჭები ქართველ გულშემატკივარს. კიდევ ერთხელ გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რომ სტადიონიდან ქომაგი თავაწეული გაეშვათ შინ. „ბორჯღალოსნებმა“ ქუთაისს რაგბი დაუბრუნეს.

ბოლოს ერთიც დავძინოთ. ნაკრებში დებიუტი ჰქონდა საქართველოს 20-წამლელთა ნაკრებიან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ნატრიუმფალ თემურ სოხაძეს, რომელმაც მატჩის ბოლოს ათიოდ წუთი ითამაშა, თუმცა დროის ამ მცირე მონაკვეთშიც გამოჩნდა მისი თავდადება და სარაგბო სული.

ლადო ფულუკიძე

გადრი ქეთილაძის ფოტოები



ბაირონ თალაკვაძე
პარიზიდან
ავტორის ფოტოები

მაისში „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დიმიტრი იაშვილი ფინალ ში „სტად ფრანსესთან“ შეხვედრას ნატრობდა, ევროპის თასზე განცდილი მარცხისთვი ს რევანშის ასაღებად. ნატრობდა და აუხდა კიდ? ეც.

ბასკური „ტერაქტი“ პარიზში

მთავარი ორგანიზატორი წარმოშობით ქართველია

სტადე ფრანსე 34:37 ბიარიცი

სტად ფრანსე: ფერნანდესი (მირკო ბეგრამასკო, 27), გლა, ლიბენბერგი, არიასი, დომინისი (სარამეა, 73), სკ-რელა, პიჩოტი, სოვერბი, მარტენი, რაბადანი (მაურო ბეგრამასკო, 96), ჯეიმსი, ორადუ (კაპ, ბრუზე, 70), დე ვილიე (მარკონე, 46), ბლენი (კ-ი ზერი, 60), რონსერო

1 ლ: დომინისი (26), 1 გ და 8 ს: სკრე-ლა (7, 21, 29, 33, 42, 58, 78, 90); 1 ა: ლიბენბერგი (51)

ბიარიცი: ბრუსკე, ბიდაბე (არამბუ-რუ, 27), ტრაი, გობელე, ბუსე, პეი-რლონგი, იაშვილი, ტომა ლიევრე-მონი (კაპ), არინორდოკი, ბეტსენი, კუზინე, ტიონი, ავრილი (ლეკუ, 73), ოგუსტი (გონსალესი, 74)

1 ლ: გობელე (17); 1 გ და 9 ს: იაშვილი (4, 13, 24, 36, 50, 55, 63, 69, 102); 1 ა: პეირლონგი (100)

გაფრთხილება: ორადუ (5), რონსერო (40); ტიონი (5)

ისე, წლეულს „ტულუზი“ და „ბიარიცი“ თითქოს ორი ერთზე დ-ეჯახნენ „სტად ფრანსეს“. ევრ-ოპის თასის ნახევარფინალში პარი-ზელებმა ბასკები დაჯაბნეს და მე-რე ედინბურგში გამართულ ფინა-ლში დამატებით დროში წააგეს ტულუზელებთან, საფრანგეთის ჩე-მპიონატში კი ყველაფერი პირი-ქით მოხდა, ნახევარფინალში წი-თელ-შავების ძლევის შემდეგ მათ უკვე ბიარიცელებმა დააყრევინეს ფარ-ხმალი დამატებით დროში.

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

შაბათ საღამოს ისევე როგორც მთელი პარიზი, „სტადე დე ფრა-ნსიც“ ორ ფერად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს წითლად გამოწყობი-ლი ბასკები გამაგრებულიყვნენ, და-ნარჩენი ნაწილი კი „სტადე ფრა-ნსეს“ გულშემატკივრებს გაელუ-რჯებინათ.

სანამ ტოპ-16-ის ფინალი დაიწ-ყებოდა, მაყურებლები საფრანგე-თის ქალთა ჩემპიონატის ფინალით გაერთნენ. პირველად ვუყურე ქა-ლების რაგბის და, ჯობდა, არ მე-ყურებინა. როგორი იქნებოდა მათი შერკინება და შებოჭვები, წარმოი-დგინეთ. ჩემპიონი ტულუზელი მა-ნდილოსნები გახდნენ კაენელთა ძლევის შემდეგ.

საღამოს ცხრა საათისთვის კი კა-ცების ჩემპიონატის ფინალიც დაიწყო.

მსაჯის პირველ სასტვენამდე მა-ტჩის მონაწილეებს საფრანგეთის სპორტის მინისტრი ჟან-ფრანსუა ლამური და საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე მიესალმნენ და კიდევ ერთხელ შეახსენეს ყველას, რომ პარიზი თავგამოდებით იბრძვის 2012 წლის ოლიმპიური თამაშე-ბის მასპინძლობის უფლების მო-საპოვებლად.

მოთამაშეების სახელების გ ამო-ცხადებისას ყველაზე მეტი ოვა-ცია დიმიტრი იაშვილსა და კრი-სტოფ დომინისს შეხვდათ, რ ომე-ლთაც აბსოლუტურად მთელი სტა-დიონი ერთხმად მიესალმა, რო კორც ფრანგთა ნაკრების მთავარ წეე რებს.

და დაიწყო...

ბიარიცელთა ლამის პირვე ლივე იერიშისას პარიზელებმა თამ აშგა-რე მდგომარეობის წესი დაარ ღვი-ეს და იაშვილმა ანგარიში გ ახსნა საჯარიმოთი.

უნდა აღინიშნოს, რომ მ ერეც ორივე გუნდი საკმაოდ ხშირად ჯა-რიმდებოდა და რამდენიმეჯერ სა-ქმე ხელჩართულ ბრძოლამდ ეც კი მივიდა. უკვე მეხუთე წუთზე ჩ ოხდა მასობრივი უწესრიგობა, რასაც ორი დროებითი გაძევება მოყვა.

14-კაცა რაგბში ბასკები 'უკეთ-ესები აღმოჩნდნენ და თითო საჯა-რიმოს გაცვლის შემდეგ ბ ათ მა-ტჩის პირველი ლელო დაჯ ეს. მა-რცხენა ფლანგზე დიდი შე ჯგუფე-ბის შემდეგ მეტოქის ჩათვ ლის მო-ედანს გობელემ უწია თავისი მო-რკინლების დახმარებით. იაშვილმა ლამის აუტის ხაზიდან გარდასახა და თავისიანები 13:3 დაწინაურა.

თუმცა პარიზელები არაფრის და-თმობას აპირებდნენ და დომინისიმ სასწაული ლელოც დადო. მარცხნივ გაშლილ მარაოში ბურთი პარიზე-ლთა ფრთამდე მივიდა და ისიც გაიქცა. უკნიდან წამოეწიენ, შებო-ჭეს, მაგრამ დაცემამდე წინ დახ-ვედრილ ბიარიცელს ჩამოეკიდა, ის დასცა, თავად წამოხტა და ლე-ლოსაც უწია. მას გამოდევნებული ბრუსკი არიასმა მაისურზე დაქა-ჩვით გაანერა, რასაც მეორე გუნ-ლური ჩხუბი მოჰყვა, რომელიც ძი-ნდორს მიღმა გაგრძელდა და სა-რეკლამო დაფაც კი შეიწირა.

ამის მერე უპირატესობა ლ ედაქ-ალაქელების მხარეს გადავიდა. ბასკე-ბი ვერაფერით ახერხებდნენ მათ ნა-ხევარზე თამაშის გადატანას და 33-ე წუთზე ჩამორჩნენ კიდეც — 16:19.

ტაიმი ფრედ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ უხეში თამა-შში გაგრძელდა და აშკარა გახდა, გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვინც ნაკლებად დაჯარიმდებოდა. [illegible] დამრტმელები უმეცდინეობ[illegible] ბოდნენ. თუმცა იაშვილმა [illegible] კმაოდ ძნელი საჯარიმო [illegible] ტანა, მაგრამ თავისი წინასახ[illegible] ბის დომინირების წყალობით [illegible] ვიდ სკრელაზე მეტი [illegible] დარტყმამ მოუწია და [illegible] ბედიც ამან გადაწყვიტა.

[illegible] რულდა 13:11) და [illegible] თანი ტაიმები [illegible] პარიზელები [illegible] პერლონგმა ლამის [illegible] აგდო არეკნი და [illegible] კინების მეორედ [illegible] ნიშნული საჯარიმო [illegible]

„დიდი მადლობა [illegible] ვრებს. მათი მხურვ[illegible] რის გარეშე ვერ [illegible] თქვა დიმიტრი [illegible] ქების“ სელისმიმდებ[illegible] ლიც ფრანგთა [illegible] თელი ტურნესთვის [illegible] ტნად აირჩიეს.

[illegible] კენებში [illegible] შეკვეთილი [illegible] ვხდით“ — ეს [illegible] ლის პაუზის [illegible]

მატჩის მერე [illegible] თელ-თეთრებმა [illegible] ბიც გათენებამდე [illegible] ოთხედ გასვლისთვის



უკან მიდევნებული ლამპარი

ვიზები მოგვცეს, მაგრამ ვაი, ამ მოცემას

საფრანგეთის საკონსულომ რომ საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებს სავიზო პრობლემები შეუქმნა, გუშინ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის პარლამენტში გაარჩიეს. პარლამენტარებმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე დაიბარეს და ვითარების სასწრაფოდ მოგვარება მოსთხოვეს. შედეგიც მალევე მიიღეს. საფრანგეთის კონსულმა ანა კლილომ ფრენბურთელები დაიბარა და რამდენიმე საათში ვიზებიც გასცა, თუმცა...

ბურთან დულუბანაძეს ფოტო

საქართველოს ნაკრები შვედეთში მაინც ვერ ითამაშებს — გაირკვა, გუშინ სადაზოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა — ეს ფიზიკურად აღარ ესწრება. ბილეთები მატჩის წინა დღისთვის გვქონდა დაჯავშნილი, მაგრამ რადგან ვიზები არ მოგვცეს, უკან დავაბრუნეთ.

კონსულმა, რომელიც აქამდე არაფრად გვაგდებდა, სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ შეხვდა რა თავად დაგვინიშნა. მას საფრანგეთის ელჩ ფილიპ ლეფორთან ერთად შევხვდი და თუ აქამდე ვიზების არგაცემის მიზეზს საერთოდ არ ამბობდა, ახლა სრულიად აბსურდული რამ მიიგონა. თურმე ანკეტები ყოფილა არასწორად შევსებული. გარწმუნებთ, ეს სისულელეა. თუ მართლა ეს იყო მიზეზი, ბოლო მომენტამდე რატომ არ გვეუბნებოდა?! ოქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი გვითხრეს, გასაუბრება 8 ივნისამდე რატომ მიიტანეთო. არადა, მაისიდან მოყოლებული დრო თვითონ გაგვიწელეს".

ჯერ არავინ იცის, პარლამენტმოვლილი ქართველი გოგონები ევროპის ჩემპიონატის ბოლო თამაშს შვედეთში მაინც ჩაატარებენ თუ ავტომატურად მარცხი ჩაეთვლებათ.

ახვლედიანის ვარაუდით, მეორე ვარიანტი უფრო მოსალოდნელია, რადგან ფრენბურთის ევროპის კონფედერაციამ გადაწყვეტილების მიღება შვედებს გაანდო. შვედეთის ფედერაციას კი მატჩის გადაწევაზე სასტიკი უარი შემოუთვლია.

„ალბათ 0:3-ს ჩაგვითვლიან, ხოლო დაემატება თუ არა ამას დისკვალიფიკაცია და ფულადი სანქციები, ევროპის კონფედერაცია გადაწყვეტს" — დასძინა ახვლედიანმა

ერთი სიტყვით, საფრანგეთის კონსულმა თერთმეტი ვიზა გასცა, მაგრამ ვაი, ამ გაცემას.

ოთარ მაღლაკელიძე

როჯერის ჯუფთებადობა



როჯერ ფედერერის მიერ ჰალეობის საერთეულო ფინალში ბარაბ საკვინის 6:4 6:7 (6:8) 6:4 მოგებისა და იმის შესახებ, რომ ეს მისი მეშვიდე საამსეზონო, ხოლო 29-ე საკარიერო ტიტული გახლავთ, გუშინვე გიამბობდით. იქვე დაკმაყოფილდით, რომ ამ მოგებით 23 წლის შვეიცარიელმა წლეულს (სამი მარცხის წილ) უკვე 31-ე გამარჯვება მიიკალა, ზედიზედ 29-ედ ამარჯვა ბალახსაფარზე და ზედიზედვე მე-20 ფინალი მოიგო. თანაც ამასაც მოგახსენებდით, რომ თავად ჰალეობაც ზედიზედ მესამედ დაუწიოკა და რაკიღა წინა ორი დაწიოკების მერე უიმბლდონზეც ამბრეკილა, საკარაუდოა, ამ ჯერზეც ეჯავე გამოკიდეს-ჩვენთქი.

ოღეს კი ყოველივე ამას, გვსურს, ორიოდ სხვა მონაცემიც მივამატოთ და ნარიზად ფედერერის ნაფინალევი განსვანიც მივაკოლოთ.

დასამატებელი მონაცემები კი ამგვარია: როჯერი უკვე 27 შეხვედრაა, გერმანიაში არ დამარცხებულა. სულ კი — უკეთუ ათვლას 2002 წლის მაისიდან დავიწყებთ — მას იქ 45 შეხვედრა გაუმართავს და აქედან 43 რომ მოუგია, ამ ამბავში 7 ტიტულიც მოუნაგრავს. რაგინდარა ბალახზე ის ბოლოჯერ 2002 წელს, უიმბლდონობის პირველ წრეში ხორვატ მარიო ანჩიჩისგან იძლია, რაგინდარა ფინალში კი 2003 წლის ვენაობის მერე აღარ ავებს. ამ ჰალეობამდე ის ჩემპიონთა რბოლის პირველ საფეხურს მისდარად 665 ქულის მომძევ რაფაელ ნადალიან იყოფდა, უიმბლდონობას კი კვლავაც ერთპიროვნულ ლიდერად დაიწყებს ჰალეში ნაშოვნი 45 ქულის მეშვეობით ანუ — ჯამში 710 ქულის მქონე.

და კიდევ — რაიც ეგებ თავიდანვე უნდა გვეთქვა — მისი და საფინის საეროეულო ფინალის შემდეგ მათ მეწყვილეებთან, შესაბამისად, შვეიცარიელ ივ ალეგროსა და შვედ იოახიმ იოჰანსონთან ერთად წყვილადაც იპაექრეს და გამარჯვება აქაც ამქრის ზეგარდმო პირველოსანს ერგო — 7:5 6:7 (6:8) 6:3. საინტერესოა, რომ ეს ფედერერის ოდენ მეორე ჯუფთი ტიტულია, რაიც მას ზემოთ ხსენებული 2003 წლის ვენაობის შემდეგ აღარ რგებია. სხვათა შორის, როჯერმა მაშინაც თვისტომსა და კარგ მეგობარ ალეგროსთან ერთად იხეირა.

ფედერერი: „ძალიან მიხარია, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა, თავს ძალიან რელაქსირებულად და დამშვიდებულად ვგრძნობ. პარიზული მარცხის მონელება იოლი სულაც არ იყო. ასევე არ იყო იოლი თიხნარიდან ბალახზე ყოველგვარი მომზადების გარეშე გადმორთვა და ტიტულის დასაცველად ბრძოლა. მიი უფრო რომ მარატი დღეს ძალიან აგრესიულად თამაშობდა და ბოლომდე მეძალებოდა. თავადაც ხედავდით, მოწოდებისას რამხელა უპირატესობას ეუფლებოდა, ამ დროს ძისთვის ბურთის შებრუნება წარმოუდგენლად ჭირდა. მან დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალზედ სახიფათო მოთამაშეა. ამჯერად, ვფიქრობ, რომ მეც ბარაქიანი სამუშაო გავწიე, მეორე სეტში (2)აგების მიუხედავად ბითურად არ ავნერვიულებულვარ და საქმე ბოლომდე მშვიდად მივიყვანე. ასე რომ, ძალიან კმაყოფილი ვარ, ახლა სწორედ ისეთი განწყობა მაქვს, როგორითაც უიმბლდონს უნდა ვხვდებოდე."

სუპერმარია

DFS CLASSIC

ბირმინგემი. ბალახი. საპრიზო 200 ათასი $

ფინალი

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სდმ) 6:2 4:6 6:1

ბირმინგემობა ის ტურნირი არ არის, ვინგინდავინ ქალმეჩოვნის ნაღდი შესაძლებლობები რომ დადგინდეს, მაგრამ რაკიღა შარშან მარია შარაპოვამ თავის საუიმბლდონო სვლა სწორედ აქედან დაიწყო, მიღლად შეუხმიანებლობა აღარც წლეულს გამოდიოდა. ჰოდა, ჩვენც შევეხმიანოთ და ვთქვათ, რომ წანწკლა სუპერმარიამ რომ ფინალში ოუმეცსეტის ჩაგდებით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოუყომარა მასსავით ნორჩ სერბოჩერნიგორიელ ელენა იანკოვიჩს, ამით მესამე საამსეზონო და უკვე მეათე საკარიერო ტიტული მოკუპრა. მართალია, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი არ მითამაშია, მაგრამ მისათვლელი მაინც მივითვალე და საუიმბლდონოდაც ხოშიანი განწყობა დავიკვებეო, იძახდა ნაფინალევს სუპერმარია და თავის ლოლომარწყვა ბლონდებით გვბანგავდა.

ტაისონი ქადაგი შეიქნა



მაიკ ტაისონი კრივს გამოეთხოვა! ირლანდიელ კევინ მაკ-ბრაიდთან ტექნიკური ნოკაუტით წაგების შემდეგ ტაისონმა თქვა: „ბოლო 15 წელიწადს არაფრად ვვარგოდი. ჩემი კარიერა 1990 წელს დასრულდა, მაშინ, როცა ბასტერ დაგლასი მომერია. მერე სულ თამაში იყო.

ასე მგონია, რომ 120 წლის ვარ, თითქოს რიპ ვან უინკლი ვიყო."

რიპ ვან უინკლი ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის, ვაშინგტონ ირვინგის პერსონაჟია, რომელიც დაიძინებს და საუკუნის შემდეგ გაიღვიძებს.

„ეს ამბავი დამთავრებულია. აღარ ვიკრივებ. თავის გაუთავებელი მოტყუება არ შეიძლება. კრივს პატივს ვცემ და არ მინდა ჩემი უვარგისობით შევაწუხო" — თქვა რკინის მაიკმ.

ახლა ტაისონი მისიონერობას აპირებს. აფრიკაში სიარული და ქადაგება აზრს შესძენს მის ცხოვრებას.

„არ ვიცი რა ხდება, ვთქვათ, ბოტსვანაში, სუდანში, რუანდაში. როგორ მიდის იქ ქრისტიანული სიტყვა" — ამბობს ტაისონი, რომელმაც ციხეში პირველი ჯდომისას ისლამი აღიარა, ახლა კი, ჩანს, გაქრისტიანებულა.

„მე ჩემს ცხოვრებას ვცვლი. შემიძლია ნარკობარიგების დაქირავებული მკვლელი შევიქნე, მაგრამ არ მინდა სხვა გზით უნდა წავიდე, არც ტელეკომენტატორობა მინდა. ამით ხალხს ვერ დავეხმარები. ამერიკაში ვერ გავჩერდები. ემოციურად მკვდარი ვარ. აქ არასოდეს ვყოფილვარ წარმატებული. უცხოეთში წავალ და ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრებ. მე მომწონს ჩემი სვირინგები, ამერიკელებს კი ისინი დაღი ჰგონიათ. მოკლედ, აქ ნიშანი მადევს".

ტაისონი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია მძიმე წონის ისტორიაში. ის სულ ოცი წლისა იყო, როცა ტიტული აართვა ტრევორ ბერბიკს.

მაკბრაიდთან ბრძოლამდე მან თქვა, რომ ჯამში კიდევ ხუთჯერ იკრივებდა, მაგრამ მარცხის შემდეგ გადაიფიქრა:

„აღარ მაინტერესებს. ჩემი ადგილი იქ აღარ არის. დროს ვერ დაამარცხებ და ამის წესრიგიც აღარ მაქვს, რომ ვიბრძოლო".

ვალენტინო როსიმ ზედიზედ მეოთხე დიდი პრიზი მოიგო

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეექვსე ეტაპი

ესპანეთის დიდი პრიზი. კატალონია — 47273

მოტო გრან პრი — 118,2 კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ---------- [illegible]
2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) ---------- [illegible]
3 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) ---------- 7,8

საერთო ჩათვლა

1 როსი 145 ქულა; 2 მელანდრი 87; 3 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 77; [illegible] ბერნო 73; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქ

AFP ბრუნბლიდან

ასწრებენ

37-ე „დუელის ლიბერა“: ყველა რადიკას ასწრებს: დიდი ამერიკელი ლენს არმსტრონგი ავტოგრაფის ვაცვამას, მისი თანამეშაძულე ლეგენდა ლიბერეიტერი კი თავისი გოგოს ჩაეფეხვას. ლიბერეიტერი საერთო ცხრილის ლიდერია და ყვითელი სვიტერიც უხდება.



AFP ლეონარდ ფრანკლინიდან

გოგო შამპანურით

იტალიელი მოტოციკლეტისტი მატია პასინი პირდაპირ ვოლეიბს დაერია თავისი შამპანურით. გასაკვირიც არაა, ძალიან გასანებებელია იმით, რომ ეროტალიანის დიდი პრიზი მოიგო მონტმელოს ტრასაზე.

AFP მონტმელოდან



AFP უორთიდან

კოვბოი

აი, ვინ მოიგო ინდიკარის სერია ტეხასში. თომას შექტერი ისე ირჯება, როგორც ნამდვილი კოვბოი. ტეხასია, თანაც ფორტ უორთი. ამიტომ ქუდი და სმიტვესონები ბუნებრივად ჩანს.

AFP ვარშავიდან

პლატინი ვარშავაში

მიშელ პლატინი ახლა პოლონეთს ჩასულა და იქ ავრძელებს თავის ჩუმ საარჩევნო კამპანიას. ამჯანაგური თამაშია და პლატინის მის გვერდით მისი დროის პოლონელ ფეხბურთელს ვალდემარი მატისიკესაც დაინახავთ.

საქართველო

სპორტული გაზეთი

გამოდიოდა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათის, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევს და შაბათის

გამომცემელი ზურაბ ფოფხაძე
დირექტორი პეტრე ციცარიშვილი
მთავარი რედაქტორი ლია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამარ მეტრეველი
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, გია ახალბედაშვილი, ალეკო ნანიტაშვილი, გია შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ბარამია, გიორგი ვეშაგიძე, ნიკო კოტორაშვილი, ალეკო ქერეტელაშვილი, გიგა ზუცაშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალბედაშვილი, ლევან კვლიერაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პეტრეა
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათელა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსაიშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პრესუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge